

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 16.

თბილისი

18-19.08.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

ლალი ლოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

დავით კერესელიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილე;

ნანა ჭილაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

მარინე ჟვანია - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

ლალი შაიშველაშვილი - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე;

ქეთევან ფანჭულიძე - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;

სალომე ფრუიძე - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ბექა ძამაშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შუდრა - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ზინაიდა ჩხაიძე - ცენტრის სტრატეგიული განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ფურცხვანიძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ანა ბუჩუკური - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიის“ რექტორი იგორ კვესელავა, იურისტი თემურ წურწუშია;

2. შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის დირექტორი ნატაშა აფხაზავა, ბუღალტერი ენვერ ჭითანავა;
3. სპს - „მერი აფხაზავა“ საერო სკოლა-გიმნაზია „გორდას“ ხელმძღვანელი მერი აფხაზავა, მოადგილე აღმზრდელობით დარგში ნინო მოლაშხია;
4. შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიან საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ „მარჯის“ დირექტორი ლალი ზარანდია;
5. შპს - „გორდა“ - სკოლა ლიცეუმ „სხივის“ დირექტორი მარინა ჭაია;
6. შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის დირექტორი ცისია სუხიაშვილი, კოორდინატორი მარინა გოგოლაძე;
7. შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სი“-ს დირექტორი მარინე დეკანოძე, დირექტორის მოადგილე მაკა კაკაურიძე;
8. შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინოს“ ადამიანური რესურსების მართვის, საქმისწარმოების და იურიდიულ საკითხთა სამსახურის უფროსი ნათია ქაჯაია, დირექტორის მოადგილე ავთანდილ ლომსიანიძე;
9. შპს - „არძანის“ დირექტორი გრიგოლ ბულია, აღმასრულებელი დირექტორი - ირინე კიკვაძე;
10. სპს - ზურაბ აღდგომელაშვილის ქართული მრავალპროფილიანი არასახელმწიფო საერო სკოლა-ლიცეუმის ხელმძღვანელი ზურაბ აღდგომელაშვილი, მენეჯერი ციური აღდგომელაშვილი;
11. სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ დირექტორი ნინო ჩოხელი, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში ელენე გონგაძე;
12. შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ დირექტორი ნათია ნიკაჭაძე, დირექტორის მოადგილე ნანა ფაღავა;
13. შპს - „თაობა-XXI“-ის დირექტორი ომარ მიქელაძე, დირექტორის მოადგილე ლია ძველაია;
14. შპს - „მერცხლის“ წარმომადგენელი - მარინე ბერიშვილი;
15. შპს - სკოლა - გიმნაზია „პირველის“ დირექტორი ნინო ოქროჯანაშვილი, დამფუძნებელი მანანა ბაკურაძე;
16. შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ პარტნიორი ნინო ჩივაძე;
17. შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ დირექტორი - გოჩა აბდუშელიშვილი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

დავით ჭეიშვილი;
ქეთევან ინანაშვილი;
მაია ხურცილავა;
ნელი ნასყიდაშვილი;
ქეთევან რეხვიაშვილი;
ლიანა კობესაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18¹⁵ სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს მდივნის, გაიანე სიმონიას, არყოფნის გამო საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მდივნის ფუნქციების შესრულება დაავალა საბჭოს წევრს - ანა კლდიაშვილს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერიისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
2. შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სპს - „მერი აფხაზავა“ საერო სკოლა-გიმნაზია „გორდას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიან საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ „მარჯის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - „გორდა“ - სკოლა ლიცეუმ „სხივის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სი“-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინოს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - „არმანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სპს - ზურაბ აღდგომელაშვილის ქართული მრავალპროფილიანი არასახელმწიფო საერო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - „თაობა-XXI“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - „მერცხლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - სკოლა - გიმნაზია „პირველის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
17. შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ, საბჭოს გააცნო 2011 წლის 17 აგვისტოს შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერიას“ მიერ ცენტრში წარმოდგენილი №1926 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №03-8604), რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვს მისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვის გადავადებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა შუამდგომლობის დასაბუთება. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, იგორ კვესელავამ, აღნიშნა, რომ იგი დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ერთი დღის დანიშნული იყო და დაფიქსირებული შეცდომის გამოსასწორებლად დრო სჭირდებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ გადაამოწმა იგორ

კვესელავას უფლებამოსილება და შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერიის“ პარტნიორთა 2011 წლის 12 აგვისტოს კრების ნოტარიულად დამოწმებული ოქმის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ იგორ კვესელავას ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვითაც, „დაწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ცენტრი უფლებამოსილია, განსაზღვროს გონივრული (არანაკლებ 15 დღის) ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება“. ამ ნორმიდან გამომდინარე, თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლების განუმარტა, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი იყო, საბჭოს შეესწავლა დაფიქსირებული ხარვეზები და დაედგინა გონივრულ ვადაში მათი გამოსწორების შესაძლებლობა, შესაბამისად, საბჭო დაიწყებდა საკითხის განხილვას და თუ განხილვის შემდეგ დადგინდებოდა, რომ ხარვეზები გონივრულ ვადაში გამოსწორებადია, დაწესებულებას მიეცემოდა მათი გამოსწორებისათვის დამატებითი ვადა, ხოლო თუ არსებული ხარვეზები გონივრულ ვადაში გამოსწორებას არ ექვემდებარება, საბჭო დღის წესრიგის მიხედვით იმსჯელებდა შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერიისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხზე.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა თავმჯდომარეს.

დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

1. შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ბექა ძამაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 პროგრამებში მოცემული არ არის მეთოდოლოგია, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

მაგ.: საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის საბაკალავრო პროგრამა.

1.2 დაწესებულებაში ისწავლება ორსემესტრიანი საგნები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი.

მაგ.: სამართალმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისური სპეციალიზაციის 1, 2.

1.3 სწავლის შედეგები გაწერილი არ არის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიხედვით 6 კომპონენტის გათვალისწინებით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს. შესაბამისად, დარღვეულია ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს.

მაგ.: კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა.

1.4 სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მოთხოვნებს. კერძოდ, სილაბუსების მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი სახის შეფასება: 61-70 ქულა „საშუალო“ D, 51-60 „დამაკმაყოფილებელი“ E, 41-50 არადამაკმაყოფილებელი“ F, 0 -40 სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ FX.

„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით უნდა იყოს:

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ

გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა ა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაგ.: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ბიზნეს-კომუნიკაციების სილაბუსი.

1.5 პროგრამებში საგნებ ის წინაპირობები ისეა განაწილებული, რომ პროგრამა ვერ განხორციელდება. მაგ.: სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე მესამე სემესტრში ისწავლება სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რომლის წინაპირობაა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ცოდნა. აღნიშნული წინაპირობა საერთოდ არ ისწავლება პროგრამის ფარგლებში.

1.6 ზოგიერთ შემთხვევაში 1 კრედიტი 25 სთ-ზე ნაკლებია, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25–30 საათის განმავლობაში.

მაგ.: ისტორიის საბაკალავრო პროგრამა: სავალდებულო საგანი „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“ 6-კრედიტიანია, თუმცა პროგრამის მიხედვით სტუდენტის დატვირთვა არის 145 სთ.

1.7 პროგრამების მიხედვით (მაგ.: ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა), სასწავლო სემესტრი არის 15-კვირიანი, აგრეთვე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღმოჩენილ იქნა სასწავლო პროცესის ვადების მარეგულირებელი ბრძანებები, რომლის მიხედვითაც, სასწავლო სემესტრი 19 კვირაზე ნაკლებია, რაც ნიშნავს იმას, რომ სასწავლო წელი არის 38 კვირაზე ნაკლები. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, ერთი აკადემიური წელი 38–45 კვირისგან უნდა შედგებოდეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს არ წარედგინა სასწავლო პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ დაწესებულების რექტორის 2010 წლის 9 აგვისტოს №04/01-231 და 2010 წლის 6 სექტემბრის №04/01 -236 ბრძანებები. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული ბრძანებები ამოღებულია ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურის მიერ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული საკითხის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სამხარეო პროკურატურაში ამოღებული ბრძანებებიდან უახლესი ბრძანება დათარიღებულია 2010 წლის 4 აგვისტოთი და განსახილველი ბრძანებები პროკურატურას დაწესებულებიდან არ ამოუღია.

1.8 პროგრამები ისეა აგებული, რომ შეუძლებელია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კრედიტების მინიმალური რაოდენობის დაგროვება. მაგ.: ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, მესამე სემესტრში ისწავლება საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინა „მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია“, რომელიც არის 5-კრედიტიანი. წარმოდგენილი იყო სილაბუსი „მიკრობიოლოგია“, რომელიც არის 3-კრედიტიანი. შესაბამისად, შეუძლებელია 240 კრედიტის დაგროვება.

1.9 სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე, 9 სილაბუსის მიხედვით, საგანს უძღვება 2010 წლის 8 აპრილს თანამდებობიდან გათავისუფლებული და აწვარდაცვლილი პროფესორი გია ქირია.

1.10 მისანიჭებელი კვალიფიკაციები არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მოთხოვნებს. მაგ.: კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაკალავრი“, რასაც არ ითვალისწინებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

1.11 სხვადასხვა საგნის სილაბუსებში მიზნები და სწავლის შედეგები იდენტურია.

მაგ.: ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა, „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა - 1“ და „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა - 2“.

1.12 პროგრამებს სრულად არ ახლავს შესაბამისი სილაბუსები.

მაგ.: კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე არ არის წარმოდგენილი „მანქანურ ორიენტირებული დაპროგრამებისა“ და „მათემატიკა 1“ - ის სილაბუსები.

1.13 დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები, თუმცა დაწესებულების რექტორის 2010 წლის 15 სექტემბრის №04/01-241 ბრძანება „დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში „იბერია“ 2010-2011 სასწავლო წელს შემოდგომის სემესტრში მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის შესაბამისად, მობილობის მსურველი მოიპოვებს შესაბამისი დაწესებულების ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით. კერძოდ, ცენტრის ელექტრონული პორტალის მონაცემებით, ნიკოლოზ მეზაღიშვილმა (პ/№ 31001015279) და თამარ გოშუამ (პ/№ 01005009727) მოიპოვეს საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის უფლება, თუმცა დაწესებულების რექტორის ბრძანებით ნიკოლოზ მეზაღიშვილი ჩაირიცხა სამართლის ფაკულტეტზე, ხოლო თამარ გოშუა - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე.

1.14 ექსპერტთა ჯგუფს არ წარედგინა დოკუმენტაცია (სტუდენტთა დასწრების ჟურნალები, უწყისები, საგამოცდო ნაშრომები), რომლითაც დადასტურდება, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტაცია ფაკულტეტის დეკანებთან ინახება და მათ ვერ უკავშირდებიან.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს და განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ხარვეზები გამოწვეული იყო იმით, რომ პროგრამები დამტკიცდა 2009 წლის 5 ოქტომბერს და ისინი შესაბამისობაში აღარ მოსულა საკანონმდებლო ცვლილებებთან. ამით იყო განპირობებული ავტორიზაციის დებულებისა და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან შეუსაბამობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ აღნიშნული კანონქვემდებარე აქტები ძალაში შესვლის მომენტიდან შესასრულებლად სავალდებულოა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის და შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერია“ ვალდებული იყო, საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში მოეყვანა ავტორიზაციის დებულებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან. რეალურად 2010-2011 სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამები დაწესებულებამ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების დარღვევით განახორციელა. ამასთან, დაწესებულებას პროგრამებთან მიმართებით ჰქონდა ისეთი ხარვეზებიც, რომლებიც დაკავშირებული არ იყო საკანონმდებლო ცვლილებებთან, მაგალითისათვის, წინაპირობებთან დაკავშირებული ხარვეზები და საბაკალავრო პროგრამებში 240 კრედიტის მიღების შეუძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა საბჭოს თავმჯდომარის შენიშვნა.

მობილობის წესის დარღვევით სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის ცნობილია, რომ წესი დარღვეულია დაწესებულების მხრიდან, თუმცა განმარტა, რომ წესის დარღვევით ჩარიცხული ორი სტუდენტიდან ერთს სწავლა საერთოდ არ გაუგრძელებია პროგრამაზე, ხოლო მეორე სტუდენტის შემთხვევაში დაწესებულებამ იხელმძღვანელა სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელმაც, მისი განცხადებით, შეცდომით მონიშნა საერთაშორისო ურთიერთობები სამართალმცოდნეობის ნაცვლად.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ დაწესებულებამ სტუდენტის ინტერესები სამართლებრივად არასწორი გზით დააკმაყოფილა. იურიდიულად გამართლებული იქნებოდა, სტუდენტი ჩარიცხულიყო იმ პროგრამაზე, რომელზე ჩარიცხვის უფლებაც მან მოიპოვა ცენტრის ელექტრონული პორტალის მიხედვით და შემდეგ დაწესებულება უფლებამოსილი იქნებოდა, შიდა მობილობის გზით სტუდენტი გადაეყვანა სასურველ პროგრამაზე. დაწესებულების მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება კი პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, მობილობის მსურველი მოიპოვებს შესაბამისი დაწესებულების ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს აღნიშნული შენიშვნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიის“ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ ქ. თბილისში იჯარით აღებული აქვს ხუთ სხვადასხვა მისამართზე (ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №47; ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №34; ველისციხის ქ. №5; ჭიაურელის ქ. №13; ჭავჭავაძის გამზ. №68) 4921,78 კვ. მ. ფართი. ასევე ნაჩვენებია ქ. გურჯაანში რუსთაველის ქ. №20-ში იჯარით აღებული 1004 კვ. მ. ფართი, როგორც დამხმარე.

შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიაში“ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ არ წარმოადგინა ქ. თბილისში, ველისციხის ქ. №5-ს, ჭიაურელის ქ. №13-ის და ჭავჭავაძის გამზ. №68-ის ფართების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და ხელშეკრულებები). აღნიშნული დოკუმენტები არ იძებნება არც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში.

2.2 ვიზიტის დასრულების მომენტისათვის - 2011 წლის 4 აგვისტოს, დაახლოებით 17³⁰ საათზე სასწავლო უნივერსიტეტში გამოცხადდა უნივერსიტეტის რექტორი, დავით ჩიტაია, რომელიც დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განმავლობაში პირველად შეხვდა მათ და წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი ქ. თბილისში, კაჭარავას ქ. №58-ში მდებარე შენობა-ნაგებობებიდან №2 შენობის 1956,13 კვ. მ. ფართის იჯარით აღების შესახებ. იმის გამო, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პრაქტიკულად უკვე დასრულებული იყო, ვერ მოხერხდა ამ ფართის დათვალიერება. აღნიშნული მისამართი დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში მითითებული არ ჰქონდა. არადა თუ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვიმსჯელებთ, მას ეს ფართი იჯარით აღებული აქვს 2010 წლის 1 მარტიდან და, შესაბამისად, ასახული უნდა ყოფილიყო თვითშეფასების ანგარიშში.

2.3 ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი იყო ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №47-ში მდებარე ექვსსართულიანი შენობის მე-3 და მე-4 სართულების, საერთო ფართობით 2191,33 კვ. მ. იჯარით აღების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება შპს „ყაზბეგი 47“-თან და შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის

მონაცემებით, ამავე მისამართზე ფუნქციონირებს არაავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება შპს - „პეტრე მოგილის სახელობის შავი ზღვის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“, რომლის საიდენტიფიკაციო კოდია 203832399. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი პარტნიორია სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიის“ რექტორი და პარტნიორი დავით ჩიტაია (პ/ნ 62003000268).

გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის №47-ში მდებარე ფართის ნაწილში (137,5 კვ.მ.) სასწავლო პროცესი ვერ წარიმართება, რადგან მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

2.4 სასწავლო უნივერსიტეტში, ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №47-ში არ არის:

- ა) ადაპტირებული გარემო;
- ბ) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- გ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა.

2.5 დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში მითითებული აქვს, რომ ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №34-ში მდებარე შენობაში ფლობს 576,34 კვ. მ. ფართს, რომლისგანაც სასწავლო არის 420 კვ. მ., რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიას“ ამ მისამართზე იჯარით აღებული აქვს საერთო ფართი 185,68 კვ. მ.-ის ოდენობით, სადაც სასწავლო პროცესისათვის საჭირო გარემო არის.

2.6 შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიაში“ ვიზიტის დროს პირველი ორი დღის განმავლობაში არ იყო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. აქედან გამომდინარე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არაა გამოყენებული საგანმანათლებლო საქმიანობაში. ვიზიტის ბოლო დღეს დაახლოებით 15⁰⁰ საათზე ექსპერტთა ჯგუფს განუცხადეს, რომ კომპიუტერები მოიტანეს ხელოსნიდან და აქვთ ოთახში. აღნიშნული კომპიუტერები (11 კომპლექტი) ნანახი იქნა, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამებთან მათი პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისობის დადგენა არ მოხერხდა ქსელში მათი ჩაერთვების გამო.

საბუღალტრო დოკუმენტაციის (რაც წარუდგინეს ჯგუფს) ნახვის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებას შესყიდული აქვს 26 კომპლექტი კომპიუტერი და ერთი ნოუთბუქი.

2.7 დაწესებულების ვებგვერდი www.iberia.edu.ge არ არის მუშა მდგომარეობაში, შესაბამისად, ის ვერ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებგვერდზე არ არის განთავსებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაცია: დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.

2.8 სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს ფარმაციის საბაკალავრო და დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამებს. გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიაში“ აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პირობები არ არის.

2.9 დაწესებულების ბიბლიოთეკის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიაში“ არსებული (ექსპერტებისათვის წარმოდგენილი) საბუღალტრო დოკუმენტების მიხედვით, არის 7195 ერთეული წიგნი.

ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული იყო 33 სილაბუსი, მათში მითითებული ძირითადი ლიტერატურის გადამოწმების შედეგად 201 დასახელების ძირითადი ლიტერატურიდან ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა 159 დასახელების წიგნი.

2.10 შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიაში“ ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი საქმის წარმოების წესი-დებულება. წარმოდგენილი იყო 2010 წლის სექტემბრის შემდეგ შემოსული და გასული წერილების რეგისტრაციის ჟურნალები, შიდა

ადმინისტრაციული აქტების (ბრძანებების) რეგისტრაციის ჟურნალი და თვით ბრძანებები აკინძული ბაინდერში. დაწესებულების განმარტებით, 2010 წლის სექტემბრის თვემდე გამოცემული ბრძანებები და შესაბამისი რეგისტრაციის ჟურნალები ამოღებული აქვს ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურას სხვა დოკუმენტებთან ერთად.

ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა აღნიშნული ინფორმაცია ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურაში და აღმოჩნდა, რომ პროკურატურას ამოღებული აქვს ბრძანებები, რომელთაგანაც ბოლო დათარიღებულია 04.08.2010წ. და მისი ნომერია 04/01-230, ეს უკანასკნელი შეეხება სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარების წესს; რეგისტრაციის ორი წიგნი, რომლებშიც ბოლო ბრძანების რეგისტრაციის თარიღია ერთში 24.03.2010 წ. ბრძანება №04/01-199 და მე ორეში კი 12.04.2010წ. ბრძანება №04/01-203. აქედან ნათელია, რომ დაწესებულებას არ აქვს აღრიცხული ბრძანებები №04/01-199-დან, №04/01-230-მდე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნახსენები ბრძანების წიგნები მოიცავს ერთსა და იმავე პერიოდს და ერთსა და იმავე საკითხებს, თუმცა აცდენაა როგორც ნომრებში და რეგისტრაციის თარიღებში, ასევე შინაარსშიც. შესაბამისად, მათი ნამდვილობის დადგენა შეუძლებელია. მაგალითად:

ა) ბრძანების რეგისტრაციის ერთ წიგნში ბრძანება №04/01-181 რეგისტრირებულია 11.01.2010 წ. თარიღით, ხოლო მეორე წიგნში იგივე შინაარსის და ნომრის ბრძანება №04/01-181 რეგისტრირებულია 16.12.2009წ;

ბ) ბრძანების რეგისტრაციის ერთ წიგნში ბრძანება №04/01-182 არის დარეგისტრირებული 13.01.2010 წ. და მისი შინაარსი არის შემოდგომის სემესტრის სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ვადების განსაზღვრა, ხოლო მეორე წიგნში იგივე ნომერი №04/01-182 თავისუფალია;

გ) ბრძანების რეგისტრაციის ერთ წიგნში ბრძანება №04/01-188 არის დარეგისტრირებული 28.01.2010წ. და მისი შინაარსი არის გაზაფხულის სემესტრის პირველკურსელების სტუდენტის სტატუსში აღდგენა, ხოლო მეორე წიგნში იგივე ნომერი №04/01-188, იგივე თარიღში არის სხვა და საერთოდ არ ჩანს, რას ეხება ეს ბრძანება. თვით ბრძანება კი არის სულ სხვა;

დ) ბრძანების რეგისტრაციის ერთ წიგნში ბრძანება №04/01-191 არის დარეგისტრირებული 10.02.2010წ. და მისი შინაარსი არის გაზაფხულის სემესტრის სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიების შემადგენლობის განსაზღვრა, ხოლო მეორე წიგნში იგივე ნომერი №04/01-191, იგივე რიცხვში 10.02.2010წ. შინაარსობრივად დაფიქსირებულია სხვა, 2009-2010 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრში საბაკალავრო ნაშრომების დაცვაზე სტუდენტთა დაშვების შესახებ, თვით ბრძანების ტექსტი კი რადიკალურად განსხვავდება აქ წარმოდგენილი შინაარსებიდან და ის ეხება „სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის ფაკულტეტის ცალკე გამოყოფას“.

მრავლად ფიქსირდება მსგავსი სახის ცდომილებები ბრძანებების რეგისტრაციის წიგნსა და ბრძანებებს შორის.

დაწესებულებამ არ წარმოადგინა: აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები; სტუდენტთა დასწრების ჟურნალები და საგამოცდო უწყისები.

ამგვარად, შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიაში“ დარღვეულია საქმის წარმოების წესი და არ მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის სანდო აღრიცხვა, რითაც დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოარკვია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფართთან დაკავშირებული ხარვეზების დაფიქსირების მიუხედავად, დაწესებულების კანონიერ სარგებლობაში არსებული საერთო ფართის ოდენობა აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ფარმაციის საბაკალავრო და დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას, მართალია, თავად არ გააჩნდა პრაქტიკის განხორციელებისათვის შესაბამისი ინვენტარი, თუმცა გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამის ბაზებთან. სხდომაზე მომხსენებელმა დაადასტურა, რომ 2011 წლის 17 აგვისტოს ცენტრში შემოტანილ წერილს თან ახლდა აღნიშნული მემორანდუმების ასლები. შესაბამისად, ფარმაციის საბაკალავრო და დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული შენიშვნა საბჭომ განხილვიდან მოხსნა.

ბიბლიოთეკასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკა დიდი ოდენობის სახელმძღვანელოებისაგან შედგება. ექსპერტთა ვიზიტის დროს ლიტერატურის ნაწილი ბიბლიოთეკიდან გატანილი იყო, ამასთან, პრობლემა გამოიწვია იმანაც, რომ ბიბლიოთეკარი ადგილზე არ იმყოფებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ხარვეზი შეეხებოდა არა წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობას, არამედ იმას, რომ სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ბიბლიოთეკაში არ არსებობდა, გატანილი წიგნების შესახებ კი აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო მათი აღრიცხვა და შესაბამის ჟურნალში დაფიქსირება. საბჭოს თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შესახებ დაწესებულება წინასწარ იყო ინფორმირებული და მის ინტერესებში შედიოდა, რომ ბიბლიოთეკარი ვიზიტის დროს ადგილზე ყოფილიყო.

ბრძანებების არასანდო აღრიცხვიანობასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზის გამო შესაბამისი თანამდებობის პირი დაისაჯა და გათავისუფლდა თანამდებობიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ თანამდებობის პირის გათავისუფლება დაწესებულების შიდა მენეჯმენტის საკითხია, თუმცა არსებული ხარვეზი წარმოადგენს ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევას და შესაბამისი პირის თანამდებობიდან გათავისუფლება არ იწვევს დაწესებულების პასუხისმგებლობის მოხსნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე გამოიკვლია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნული ბრძანებები და ბრძანების ჟურნალები და დაადგინა, რომ ერთი და იმავე ნომრით სხვადასხვა ბრძანებების არსებობა, ერთსა და იმავე ბრძანებებზე ორი განსხვავებული ბრძანებების წიგნის არსებობა და იმ ბრძანებების არსებობა, რომლებიც რეგისტრირებული არ არის რეგისტრაციის წიგნში, არის საქმისწარმოების წესის ისეთი დარღვევა, რომელიც ცალსახად გამორიცხავს სანდო აღრიცხვიანობას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

ექსპერტთა ჯგუფს სრულად არ წარედგინა აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. შესაბამისად, ვერ დადგინდა აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფაქტი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება ადამიანური რესურსების სამსახურის სეიფში, სამსახურის უფროსი, ეკა ეხვია, არ იმყოფება თბილისში და ვერ ხერხდება მასთან დაკავშირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მომხსენებელს სთხოვა განმარტება, დაწესებულებაში არსებული აკადემიური პერსონალი კანონმდებლობის შესაბამისად იყო თუ არა დანიშნული თანამდებობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ წარედგინა აკადემიური თანამდებობის

დასაკავებლად შეტანილი განცხადებები და საკონკურსო კომისიის ოქმები, რის გამოც ვერ დგინდებოდა, ჩატარებული კონკურსი აკმაყოფილებდა თუ არა კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი მართლაც ექვემდებარება გამოსწორებას, თუმცა მობილობის წესის დარღვევით სტუდენტის დაწესებულებაში ჩარიცხვა, საქმისწარმოების წესის ისეთი დარღვევა, როდესაც დაწესებულებაში ერთი და იმავე თარიღით და ნომრით გამოცემულია სხვადასხვა ბრძანება, ერთსა და იმავე ბრძანების აღრიცხვის მიზნით ორი განსხვავებული ბრძანებების წიგნის არსებობა და ბრძანებების არსებობა, რომლებიც რეგისტრირებული არ არის რეგისტრაციის წიგნში, აგრეთვე 2010-2011 სასწავლო წლის განმავლობაში მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამო საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება არის ავტორიზაციის სტანდარტების ისეთი დარღვევები, რომლებიც უკვე შემდგარი ფაქტებია და დაწესებულება ამ ხარვეზებს ვეღარ გამოასწორებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერიის“ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი მისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვის გადადების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

დაწესებულების შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერიისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერიას“ გაუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. კოლეჯის დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ზინაიდა ჩხაიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სილაბუსებში მოცემულია კრედიტები, შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების დეტალური განაწილება, თუმცა რამდენიმე სილაბუსში არ არის გაწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები;

1.2 საგანმანათლებლო პროგრამები განხილული და დამტკიცებულია ე. წ. „პედაგოგიური დარბაზის“ მიერ (ოქმი №4; 26.04.2011), რომლის უფლება მოსილება დაწესებულების აქტებით ვერ დასტურდება;

1.3 შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯს არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამის დაწესებულებებთან საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმდება დაუყოვნებლივ.

საბჭოს წევრი ანა კლდიაშვილი დაინტერესდა, რამდენ სილაბუსში არ იყო გაწერილი სწავლის შედეგები. მომხსენებელმა უპასუხა, რომ დაახლოებით 4-5 მათგანში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, იყო თუ არა სწავლის შედეგები გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამებში. ზინაიდა ჩხაიძემ აღნიშნული დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა სახის ორგანოა „პედაგოგიური დარბაზი“.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, დაწესებულებამ 2001 წელს შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და გახდა შპს. აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე პედაგოგიური დარბაზის უფლებამოსილებები გაწერილი იყო დაწესებულების წესდებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ რამდენად აისახება დირექტორის ბრძანებებში პედაგოგიური დარბაზის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დირექტორის ბრძანებით მტკიცდება პედაგოგიური დარბაზის გადაწყვეტილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ სად გადიან პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაიონში ფუნქციონირებს სასწავლებლის პროგრამების შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებები. მაგალითად, ბუღალტრული და სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციები.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ მოხდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება აღნიშნულ ორგანიზაციებთან.

წარმომადგენლის თქმით, კოლეჯს დიდი ხნის ურთიერთობა აქვს აღნიშნულ დაწესებულებებთან, ამ ხნის განმავლობაში ჰქონდათ ხელშეკრულებებიც, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებამდე არ მოხდა მათი განახლება, რადგანაც ჩათვალეს, რომ ახალ ხელშეკრულებებს ავტორიზაციის მიღების შემდეგ გააფორმებდნენ. თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ დაუყოვნებლივ მიმართეს ამ დაწესებულებებს ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

საბჭოს წევრი ნინო მოწენიძე დაინტერესდა, თუ მოხდა ძველი ხელშეკრულებების წარმოდგენა ექსპერტებისათვის, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მათი წარმოდგენა არ მომხდარა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულებაში არ არის შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესი. თუმცა კორესპონდენციები ინახება სწრაფჩამკერში და ხდება ჟურნალში რეგისტრაცია. ბრძანებების წარმოება ხდება როგორც ბეჭდური, ასევე ხელნაწერი წესით. იწარმოება ჟურნალი, სადაც ხდება ბრძანებების სრული ტექსტის ხელით ჩაწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რამდენად სანდო იყო გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. ზინაიდა ჩხაიძის თქმით, ჟურნალები იყო აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული.

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 125-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ კოლეჯს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 125 პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 125-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, მისი უარყოფითი პოზიციის მიზეზი იყო ის, რომ, მისი აზრით, დაწესებულებას რამდენიმე პროგრამისათვის არ აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - პროფესიული კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 125-ით.

3. სპს - „მერი აფხაზავა“ საერო სკოლა-გიმნაზია „გორდას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ სპს - „მერი აფხაზავა“ საერო სკოლა-გიმნაზია „გორდას“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულებ აში გაკვეთილები არის 40-წუთიანი, ხოლო დასვენება 5 -წუთიანი, მესამე გაკვეთილის შემდეგ დასვენება არის 10-წუთიანი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

1.2 სასკოლო საწავლო გეგმაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტი სპორტი (საიდანაც დაწესებულებას არჩეული აქვს ჭადრაკი და მძლეოსნობა) გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო კომპონენტის ნაწილში, აგრეთვე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო მომსახურებაშიც.

1.3 თითქმის ყველა სილაბუსში გაწერილი ა შეფასების სისტემა, მაგრამ სამკომპონენტო შეფასების სისტემაში არ არის გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. ნაცვლად თანაბარი წილობრივი გადანაწილებისა, შეფასების ერთ-ერთ კომპონენტს (საშინაო დავალება) ენიჭება 40%.

1.2 შენიშვნა საბჭომ არ გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის, მერი აფხაზავას, განმარტებით, სპს - „მერი აფხაზავა“ საერო სკოლა-გიმნაზია „გორდა“ 15 წელია არსებობს და პირველი 10 წლის განმავლობაში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 45 წუთით. მოგვიანებით სკოლის პედაგოგებმა წარმოადგინეს წინადადება, რომ 8-10 ბავშვიან კლასში 40-წუთიანი გაკვეთილი სავსებით საკმარისი

იქნებოდა. აღნიშნულ წინადადებას მშობელთა დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. სანაცვლოდ, შეიქმნა დამატებითი მეცადინეობის სისტემა (ყველა კლასში, საჭიროების მიხედვით, ტარდება დამატებითი მეცადინეობები). სწავლების ამგვარი წესი შემოღებულ იქნა 2006 წლის 18 სექტემბერს დამფუძნებელთა საბჭოს სხდომაზე. პრაქტიკამ აჩვენა, რომ მიდგომა გამართებულია: მე-12 კლასის მოსწავლეებს შორის მხოლოდ ერთმა მიიღო 7 ქულა, დანარჩენებმა 8-9 ქულებით დაამთავრეს მე-12 კლასი. როდესაც სკოლა 40-წუთიან გაკვეთილებზე გადავიდა, სწორედ მაშინ დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმის გამოყენება, რომელშიც 45 წუთიან გაკვეთილზე მკაცრი მოთხოვნა არ იყო დაწესებული – კერძო სკოლას შეეძლო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცალკეული საკითხების მოდიფიცირება.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით მერი აფხაზავამ აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა პოზიციას. მისი განცხადებით, აღნიშნული ხარვეზი 5 მასწავლებელს სილაბუსის პირველ გვერდზე აქვს გაპარული, თუმცა პრაქტიკულად შეფასება ასეთი ფორმით არ ხდება, რადგანაც სკოლის ჟურნალებში თანაბარწილობრივი შეფასების მოდელი არის გამოყენებული.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, დავით ჭეიშვილს, ჰკითხა, სილაბუსის გარდა სხვა რომელი დოკუმენტების მეშვეობით მოხდა აღნიშნული შეფასების სისტემის გადამოწმება.

დავით ჭეიშვილის განცხადებით, სკოლის ჟურნალებში მოხდა ნიშნების გადამოწმება, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ სკოლა ერთ-ერთი კოპონენტის (საშინაო დავალების) შეფასებას საერთო შეფასების თითქმის 40 პროცენტს უთმობდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეფასებისას არც ერთ საგანში არ ხდება პროცენტული მაჩვენებლის გამოყენება. სკოლაში საბოლოო შეფასებების გამოყენა ხდება სამი კომპონენტისათვის თანაბარი წილის განსაზღვრით. სილაბუსის თავფურცელზე ტექნიკური შეცდომა მხოლოდ 3 მასწავლებელს გაეპარა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სპს - „მერი აფხაზავა“ საერო სკოლა-გიმნაზია „გორდას“ ქ. თბილისში, თემქის დასახლებაში, ზღვისუბნის ქ. №5-ში მდებარე ს/ს „ალიონის“ კუთვნილ შენობაში, მეორე სართულზე იჯარით აღებული აქვს 696 კვ. მ. ფართი. თუმცა უძრავი ქონების სარეგისტრაციო მომსახურების კომპანია UNITED GEORGIA-ს მიერ გაკეთებული ტექნიკური ნახაზის მიხედვით, იჯარით აღებული ფართი შეადგენს 806,18 კვ. მ.-ს. იჯარის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

2.2 სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

2.3 სკოლაში არის სამი კომპიუტერი.

2.4 სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა შემუშავებულია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ, დამფუძნებელთა საბჭოს მიერ 2011 წლის 24 მარტის სხდომაზე (ოქმი №50) განხილული და დამტკიცებულია სკოლაში პედაგოგთა მორიგეობის განრიგი, მორიგეობის ფუნქციები და პასუხისმგებლობა.

2.5 სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ კონტროლდება უსაფრთხოების კამერებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას სს „ალიონთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 696 კვ. მ.-ზე. რამდენადაც ამ უკანასკნელს სახელმწიფოს მიმართ აქვთ დავალიანება, იჯარის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ვერ მოხერხდა. რაც შეეხება იჯარის ხელშეკრულებასა და აზომვით ნახაზს შორის ფართების სხვაობას, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სს „ალიონთან“ ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას

მეიჯარე ორგანიზაციის რამდენიმე დამფუძნებელი არ ათავისუფლებდა ოთახს. მოგვიანებით, აღნიშნული ოთახები გათავისუფლდა და მათ ოთახებს დაწესებულება იყენებს საგანმანათლებლო საქმიანობაში.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის არსებობს ლიფტით სარგებლობის შესაძლებლობა. კერძოდ, შენობის მეორე ნაწილი, სადაც განთავსებულია ქარხანა, დერეფნით უერთდება სკოლის ფართს. ქარხანაში მოქმედებს ლიფტი, რომლის მეშვეობითაც დერეფნის გავლით შესაძლებელია სკოლაში მოხვედრა.

კომპიუტერთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას აქვს 6 კომპიუტერი. ამათგან 4 წარმოდგენილი იყო ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის და მათზე საკუთრება დასტურდება შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით, ხოლო ორი კომპიუტერი სკოლას აჩუქეს მოსწავლეების მშობლებმა 2007 წლის 27 სექტემბერს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მტკიცებულებად წარმოადგინა ზურაბ ოსეფაშვილთან გაფორმებული IT მომსახურების ხელშეკრულება და 2007 წლის 27 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტი პენტიუმ-1 და პენტიუმ-2 კომპიუტერების ჩუქების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ექსპერტს, ვიზიტის დროს რამდენი კომპიუტერი იყო სკოლაში. დავით ჭეიშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა სულ 4 კომპიუტერი (შესყიდვის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციასთან ერთად). ამათგან ვიზიტის მომენტისათვის 3 კომპიუტერი იყო გამართულ მდგომარეობაში (მათ შორის, ინტერნეტით უზრუნველყოფილი), ხოლო ბიბლიოთეკაში არსებული ერთი კომპიუტერის ჩართვა მიუხედავად ექსპერტების თხოვნისა არ მოხდა, რადგანაც, სკოლის თანამშრომლის განცხადებით, იგი არ მუშაობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტის მხრიდან კომპიუტერის ჩართვის მოთხოვნა არ ყოფილა. რაც შეეხება ნაჩუქარ კომპიუტერებს, ისინი გამოცდების დროს გამოიყენა სკოლამ, ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის კი საცავში იყო მოთავსებული.

საბჭოს წევრის ანა კლდიაშვილის განცხადებით, როდესაც ექსპერტი ახორციელებს საავტორიზაციო ვიზიტს, მას ადგილზე უნდა დახვდეს ყველა დოკუმენტი და შესაბამისი ინვენტარი. ასეთ შემთხვევაში აღარ იქნება საჭირო სხდომაზე დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ექსპერტების დასკვნაში მოცემული შენიშვნების გასაბათილებლად.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კომპიუტერების ზღვრულ ოდენობასა და სამეთვალყურეო კამერებთან დაკავშირებით საკანონმდებლო მოთხოვნა დაწესდა სკოლის მიერ ავტორიზაციის განაცხადის შემოტანის შემდეგ. მომხსენებელმა დაადასტურა აღნიშნული გარემოება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავს დღის და ღამის დარაჯები.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამინურ რესურსთან მიმართებით

3.1 დაწესებულებას აქვს სპს-ს წესდება, გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა უშუალოდ სკოლის წესდება, რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურასა და საქმიანობის ძირითად არსს, აღნიშნული წესდება არ არის ხელმოწერილი.

3.2 სკოლას ცალკე დოკუმენტით, წესდებით ან შინაგანაწესით არ აქვს გათვალისწინებული თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლის წესდება არის სპს-ს წესდების ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, რითი დასტურდებოდა აღნიშნული.

მერი აფხაზავას განმარტებით, ორივე წელება განხილული და დამტკიცებულია დამფუძნებელთა საბჭოს მიერ.

თავმჯდომარემ მერი აფხაზავას სთხოვა დამფუძნებელთა საბჭოს ოქმის წარმოდგენა.

სკოლის ხელმძღვანელმა აღნიშნული ოქმი ვერ წარმოადგინა.

ადგილზე გადამოწმდა მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ნოტარიულად დამოწმებული სამეწარმეო იურიდიული პირის წესდება, აგრეთვე თანდართული სპს - „მერი აფხაზავა“ საერო სკოლა-გიმნაზია „გორდას“ წესდება და დადგინდა, რომ მეორე დოკუმენტი არ არის სანოტარო აქტის შემადგენელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს 3.2 შენიშვნის არსის განმარტება. დავით ჭეიშვილის განცხადებით, ხარვეზი მდგომარეობს იმაში, რომ სკოლას არ აქვს წესი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს თანამშრომლების შერჩევა, წახალისება/დასჯა და რომელიც წინასწარ ცნობილი იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის.

დაწესებულების დირექტორმა სხდომაზე წარმოადგინა ბრძანება, რომლითაც შეიქმნა სკოლისათვის კადრების შერჩევის ჯგუფი და დადგინდა შერჩევის წესი; ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა, რომლის 2.4 პუნქტი დირექტორის უფლებამოსილებებს შორის განსაზღვრავს უფლებას, გაატაროს მასწავლებელთა საქმიანობის მასტიმულირებელი ღონისძიებანი - მაღლობის გამოცხადება, დაჯილოდება და ა.შ., აგრეთვე ბრძანების წიგნი, სადაც გატარებული იყო რვა ბრძანება პედაგოგთა წახალისების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა შეამცირა მოთხოვნა და იშუამდგომლა მოსწავლეთა რაოდენობის 150-ით განსაზღვრის შესახებ.

თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ 150 მოსწავლის მიღების შესაძლებლობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 120 მოსწავლის მომსახურებას.

20:16 სთ-ზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 20:55 სთ-ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - „მერი აფხაზავა“ საერო სკოლა-გიმნაზია „გორდას“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 3

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა თავისი პოზიცია. მისი თქმით, 40-წუთიანი გაკვეთილები, იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობა, შიდა და გარე პერიმეტრის უსაფრთხოების კამერების არარსებობა ისეთი სახის ხარვეზებია, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება სტანდარტს და გამორიცხავს დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების შესაძლებლობას.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, სპს - „მერი აფხაზავა“ საერო სკოლა-გიმნაზია „გორდას“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

4. შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიან საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ „მარჯის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიან საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ „მარჯის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ზინაიდა ჩხაიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 მე-4 კლასიდან ხდება მოსწავლის შეფასება ქულებით. დირექტორის განმარტებით, ეს შეფასება ლიბერალურია და შემოღებულია მოსწავლეების ქულებით შეფასების სისტემასთან შეჩვევის მიზნით.

1.2 მიუხედავად იმისა, რომ სკოლას საავტორიზაციო განაცხადი წარმოდგენილი აქვს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის განხორციელების მიზნით, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მხოლოდ დაწყებითი და საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანები, შესაბამისი კლასის მოსწავლეთათვის წაყენებული მოთხოვნები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტი თითოეული კლასის მიხედვით. გამონაკლისია მე-10 კლასი, რომელიც სკოლას მიმდინარე წელს ეყოლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ განმავითარებელი შეფასება მოქმედებს პირველ სამ კლასში და ძალიან კარგი შედეგები აქვს. რაც შეეხება მეოთხე კლასს, ამ შემთხვევაში თავად მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვები უნდა შეეჩვიონ ქულებით შეფასებას იმისათვის, რომ უკეთ მოემზადონ შემდგომი კლასებისათვის. თუმცა შეფასებები არ არის მკაცრი ან არადამაკმაყოფილებელი, პირიქით, ისინი მოსწავლეთათვის წამახალისებელ ფორმას ატარებს. პატარები წარმატებულები არიან და კარგად ითვისებენ ყველაფერს.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით, თავმჯდომარის თხოვნით, მომხსენებელმა დააზუსტა, რომ სკოლას 2011-2012 სასწავლო წლამდე არ ჰყოლია საშუალო საფეხურის მოსწავლეები და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შეიმუშავა მეათე კლასის სასწავლო გეგმა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები პრობლემურია. თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მეოთხე კლასში არ იწერება არადამაკმაყოფილებელი შეფასებები, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ესეც ერთგვარი განმავითარებელი შეფასებაა.

მე-11-მე-12 კლასების პროგრამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სკოლას ფაქტობრივად არ ჰყავს აღნიშნული კლასების მოსწავლეები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სკოლაში ამ ეტაპზე არ არის ლაბორატორია/ლაბორატორიები, თუმცა 2011-2016წ.წ. სტრატეგიული გეგმის მიხედვით, 2011 წელს სკოლა აპირებს, გააუმჯობესოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და 2011/2012 სასწავლო წლის ბოლომდე შეიძინოს ქიმიის, ფიზიკის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. დაიგეგმა 2011/2012 სასწავლო წლიდან ვირტუალური ლაბორატორიით სარგებლობა ქიმიაში, ხოლო მომდევნო წლებში - სხვა საბუნებისმეტყველო საგნებში. დაწესებულებამ წარმოადგინა „ჯეო დეკორთან“ გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ლაბორატორიების შეძენის თაობაზე და 2011 წლის 28 ივლისს 2500 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.2 სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების უმრავლესობა შემოწირულობის სახით გადაეცა დაწესებულებას. თუმცა, გარდა რამდენიმე ჩუქების ხელშეკრულებისა, ჩუქების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლაში წარმოებს ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვის წიგნი, სადაც დაფიქსირებულია სკოლის ბიბლიოთეკაში 2006 წლიდან შესული ყველა წიგნი, მათ შორის ბიბლიოთეკისათვის შემოწირულობისა და ჩუქების სახით გადაცემული წიგნები.

2.3 სკოლას არ აქვს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომლებიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს (სტანდარტი). დირექტორის განცხადებით, სკოლა გაითვალისწინებს ახალ მოთხოვნებს მომავალისთვის და დაგეგმავს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება-ექსპლუატაციას.

გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან დადებული №48 ხელშეკრულება.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რომელი ლაბორატორიების შეძენას ეხებოდა „ჯეო დეკორთან“ გაფორმებული ხელშეკრულება და არის თუ არა საკმარისი გადარიცხული 2500 ლარი.

დაწესებულების დირექტორის თქმით, ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა ყველა სახის ლაბორატორიასთან დაკავშირებით, რომელთა საერთო ღირებულება 12 000 ლარია და, შეთანხმების მიხედვით, გადახდა ხდება ეტაპობრივად.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მომხსენებელს, განემარტა, ბიბლიოთეკაში რეალურად არის თუ არა ის წიგნები, რომლებსაც მოსწავლეები იყენებენ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ექსპერტმა აღნიშნული დაადასტურა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ ბიბლიოთეკაში არის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი წიგნები, რომლებიც აღრიცხულია საინვენტარიზაციო წიგნში, ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნების მართლზომიერი ფლობა დასტურდება.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა იყო უსაფრთხოების კამერების არარსებობის მიზეზი და ხომ არ გეგმავდნენ სამომავლოდ მათ შეძენას.

დაწესებულების დირექტორის თქმით, სკოლა განთავსებულია ცენტრალური ქუჩისაგან მოშორებით, არატიპურ შენობაში, სადაც ძალიან ადვილია მოსწავლეების კონტროლი. გარდა ამისა, 150 ბავშვზე არის 55 მასწავლებელი, შესაბამისად, აქამდე უსაფრთხოების კამერების დაყენების არანაირი საჭიროება არ ყოფილა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მანდატურებთან ხელშეკრულების გაფორმება უსაფრთხოების გარკვეულ ხარისხს უზრუნველყოფს, თუმცა ეს არ ცვლის უსაფრთხოების კამერას.

საბჭოს წევრის ნინო ძოწენიძის განმარტებით, მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმება ნიშნავს, რომ სკოლაში აუცილებლად იქნება უსაფრთხოების კამერები, რადგანაც მანდატურები კამერების მეშვეობით მუშაობენ.

თავმჯდომარის თქმით, თუ სკოლაში მანდატურების ყოფნა გულისხმობს კამერების არსებობას, აღნიშნული საკითხი შეიძლება მამიებლის სასარგებლოდ გადაწყდეს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა გაზარდა მოთხოვნა და იგივე პარამეტრების გათვალისწინებით მოითხოვა მოსწავლეთა კონტინგენტის 220-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულებას და აღნიშნეს, რომ სკოლას, მისი რესურსების გათვალისწინებით, შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 220 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიან საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ „მარჯის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა თავისი პოზიცია: მისი თქმით, დაწესებულების მიერ არასრულყოფილი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს, რის გამოც იგი მამიებლის ავტორიზაციას მხარს ვერ დაუჭერს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიან საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ „მარჯს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.

5. შპს - „გორდა“ - სკოლა ლიცეუმ „სხივის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „გორდა“ სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - „გორდა“ - სკოლა ლიცეუმ „სხივის“ დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საკითხის განხილვის დაწყებამდე ცენტრის დირექტორის მოადგილემ დავით კერესელიძემ გააკეთა განმარტება ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ ხარვეზთან დაკავშირებით:

დასკვნის მიხედვით, დაწესებულება ფლობს ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. №3-ში მდებარე ფართს. აღნიშნული ფართი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას (რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით). ქალაქ თბილისის მთავრობის 2002 წლის 24 იანვრის N01.20.18 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურს უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა ამ შენობაში განთავსებული 839 კვ. მ. არასაცხოვრებელი ფართი, მათ შორის 150 კვ. მ. სარდაფი, გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის განსათავსებლად. უზუფრუქტი არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

დაწესებულებას 2010 წლის 1 სექტემბერს ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან დადებული აქვს №01/00გ ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს 2011 წლის 15 სექტემბრამდე. აღნიშნული ხელშეკრულებით ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მფლობელობაში არსებული 839 კვ. მ. ფართიდან ქირავნობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 345 კვ. მ. ფართი. ქირავნობის ხელშეკრულება არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

შესაბამისად, იმის გამო, რომ ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის უსასყიდლო უზუფრუქტი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ვერ ხერხდებოდა ქირავნობის ხელშეკრულების დარეგისტრირება. აღნიშნული კი ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველია. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების რეესტრში დაურეგისტრირებლობა არ იყო დაწესებულების უმოქმედობით გამოწვეული, დავით კერესელიძემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ მას შეეძლო, ეშუამდგომლა საბჭოს წინაშე საკითხის განხილვის გადადება, ქ. თბილისის მერიასთან მოლაპარაკებების დასრულების შედეგად საჯარო რეესტრში შესაბამისი მონაცემების ასახვამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა იშუამდგომლა საბჭოს წინაშე საკითხის განხილვის სამი კვირით გადადებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის შეხედულებით, აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც ეს იქნება პრეცედენტი, რომელიც დაუშვებს ასეთი პრობლემების მოგვარების მიზნით საკითხის განხილვის გადადების შესაძლებლობას და დაწესებულებებს საშუალება მიეცემათ, მოგვიანებით გამოასწორონ ხარვეზები, რასაც არ ითვალისწინებს საავტორიზაციო განაცხადის განხილვის კანონმდებლობით დადგენილი წესი, განსხვავებით იმ შემთხვევისა, როცა საკითხი ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე ინიცირებულია თავად ცენტრის მიერ.

დავით კერესელიძის განმარტებით, საკითხის გადადება მიზანშეწონილი იყო აუცილებელი სამართლებრივი პროცედურების განხორციელებისათვის, ვინაიდან არსებობდა ობიექტური გარემოება, რომელიც დაწესებულებას ართმევდა თავისი უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობას.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასახელებულ მიზეზს ავტორიზაციის მინიჭების შესახებ განხილვის გადადებისათვის შესაბამის საფუძვლად არ მიიჩნევდა, რადგანაც ქ. თბილისში უძრავი ქონების შეძენა ავტორიზებული სამეწარმეო საქმიანობისათვის პრობლემას არ წარმოადგენს და კენჭისყრაზე დააყენა გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

შპს - „გორდა“ - სკოლა ლიცეუმ „სხივის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდოს სამი კვირით.

6. შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 2011 წლის 1 იანვარს გაფორმებულია ქირავნობის ხელშეკრულება გამქირავებელ შპს „როგო“-სა და დამქირავებელ შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნულ სკოლას შორის. ქირავნობის ხელშეკრულების საგანია ბიზნესცენტრ „სოფმშენის“ მინაშენი კორპუსის მე-2 სათულზე ე. წ. 502 მ² სამუშაო ფართის 24-საათიანი სამუშაო უფლებით გადაცემა. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული გაქირავებული შენობის მისამართი, საკადასტრო კოდი, ვერ ხერხდება მისამართის იდენტიფიცირება. ამდენად, ინფორმაცია ვერც საჯარო რეესტრში გადამოწმდა. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45. აღნიშნული მისამართის

საკადასტრო კოდით გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლა დამქირავებლად არ არის დარეგისტრირებული.

1.2 სკოლას აქვს 2 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა, რომლებიც აკონტროლებენ მხოლოდ კორიდორს (შესყიდვის ხელშეკრულებასა და ზედნადებში მითითებულია მხოლოდ ერთი კამერა).

1.3 სკოლაში კორესპონდენციის აღრიცხვა წარმოებს ხარვეზებით, კერძოდ, გასულ წერილებს არ აქვს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და არ არის დასმული ბეჭედი, შემოსული წერილების ჟურნალში არ არის არც კორესპონდენციის მიმღების და არც ჩამბარებლის ხელმოწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. თავმჯდომარემ გამოაქვეყნა ამონაწერი. დოკუმენტის შესწავლის შედეგად დაწესებულების მიერ ბიზნესცენტრ „სოფმშენის“ მინაშენი კორპუსის მე-2 სათულზე 502 მ² სამუშაო ფართის მართლზომიერი ფლობა დადასტურდა.

კამერებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა განთავსებულია რუსთავი-2-ის შენობასთან, შესაბამისად, სკოლის გარე პერიმეტრი კონტროლდება რუსთავი 2-ის კამერებით. რაც შეეხება მეორე კამერას, რომლის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები ექსპერტების მიერ ვერ იქნა ნანახი, აღნიშნული კამერა სკოლას აჩუქა ერთ-ერთმა მშობელმა.

სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ჩუქების ხელშეკრულება. თავმჯდომარემ გამოაქვეყნა ბესარიონ ჭიჭინაძის მიერ 2008 წლის 20 იანვარს გაფორმებული ჩუქების აქტი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, რატომ არ წარუდგინეს ექსპერტებს აღნიშნული ჩუქების ხელშეკრულება.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, რამდენადაც მოთხოვნილი იყო ანგარიშ-ფაქტურები, მათ ჩათვალეს, რომ ჩუქების ხელშეკრულების წარდგენა არ იყო საჭირო.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავს დაცვის პოლიცია, რომლის საშუალებითაც ხდება სკოლაში წესრიგის დაცვა, ხოლო გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად უსაფრთხოების კამერებს აუცილებლად შეიძენენ.

კორესპონდენციის აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, დაეკონკრეტებინა აღნიშნული ხარვეზის არსი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, ბლანკზე შესრულებული გასული წერილები ხელმოწერილი იყო დაწესებულების დირექტორის მიერ, თუმცა არ იყო ბეჭედადსმული.

ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა საქმისწარმოებასთან დაკავშირებით საბჭომ არ გაიზიარა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 125-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა წერილობითი შუამდგომლობა.

თავის მხრივ, ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა დაადასტურა, რომ სკოლა, მის მფლობელობაში არსებული რესურსების გათვალისწინებით, ნამდვილად უზრუნველყოფდა 125 მოსწავლისათვის სრულფასოვანი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 125-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნულ სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 125-ით.

7. შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სი“-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სი“-ს წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სი“-ს თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 ექსპერტთა ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ თბილისში სკოლას აქვს ღია მოედანი კალათბურთის ფარებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული მოედნის სკოლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებობა ვერ დადასტურდა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების დირექტორმა საჯარო რეესტრში გააკეთა განაცხადი იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების ასახვაზე. დირექტორმა მოგვიანებით წარმოადგინა სტადიონის ტერიტორიის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

1.2 თბილისის სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის ინვენტარიზაციის წიგნი, ანბანური კატალოგი, წიგნებს არ გააჩნიათ ჯიბაკები და სკოლის ბეჭედი. დაწესებულებას აქვს წიგნების ჩამონათვალის საძიებო სისტემის ელექტრონული ვარიანტი, რომელიც დასრულებული არ არის. აღნიშნული საძიებო სისტემა განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში არ არის მკითხველთა ბარათები. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ელექტრონული საძიებო სისტემის

დასრულების შემდეგ აღნიშნული პრობლემები მოგვარდება და მოხდება სკოლის წიგნადი ფონდის სათანადოდ აღწერა.

სკოლის მიერ შერჩეული ყველა კლასის ძირითადი სახელმძღვანელოები არ იძებნებოდა ბიბლიოთეკაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული წიგნები ინახება კათედრებზე. ბიბლიოთეკის თანამშრომლის მიერ წარმოდგენილ იქნა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე მოთხოვნილი მუსიკის სახელმძღვანელოები, რომლებიც კათედრებიდან მოიტანეს. ბიბლიოთეკაში არის სასწავლო პროცესის შესაბამისი პერიოდიკა. სკოლასა და მშობელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სკოლა იღებს ვალდებულებას, მოამარაგოს მოსწავლე საჭირო წიგნებით ყველა საგნის მიხედვით.

1.3 თბილისში არსებული შენობის პირველ სართულზე გათვალისწინებულია ოთახების გამოყოფა, რომელიც გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის. სკოლის პირველ სართულზე შესაძლებელია დაუბრკოლებლად შესვლა. სველი წერტილები არ არის მოწყობილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, თუმცა მესამე სართულზე არსებული სველი წერტილის გამოყენება შესაძლებელია ამგვარი საჭიროებისას. სკოლას, აგრეთვე, აქვს ლიფტი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში არ იყო მწყობრ მდგომარეობაში. აღნიშნულის გამოსწორების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლისათვის სველი წერტილით სარგებლობა. დირექტორის განცხადებით, იგეგმება ლიფტის ექსპლუატაციაში შეყვანა.

ზუგდიდსა და ქობულეთში სკოლას აქვს მობილური პანდუსი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება. სველი წერტილები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის ადაპტირებული არის ქობულეთის განყოფილებაში.

1.4 თბილისში დაწესებულებას აქვს 16 სათვალთვალო კამერა, რომლითაც სრულად ხდება შენობის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. ქობულეთში - 8 სათვალთვალო კამერა, ხოლო ზუგდიდში - არცერთი. დაწესებულების დირექტორმა წამოადგინა ბრძანება, რომლის თანახმადაც, ზუგდიდში უსაფრთხოების სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟების ბოლო ვადა განისაზღვრა 2011 წლის 15 სექტემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ავტორიზაციის მაძიებელი სკოლა ახალი დაწესებულება იყო თუ ძველი. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა 1995 წელს არის დაფუძნებული, აგრეთვე დააზუსტა, რომ არსებობს სიები წიგნების ჩამონათვალით და შესყიდული წიგნები ბუღალტერიაში არის აღწერილი, თუმცა სიებს კატალოგის სახე არ აქვს მიცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა იგი თუ არა ამ სიების არსებობას. ექსპერტმა განაცხადა, რომ მეტნაკლებად, იქვე აღნიშნა, რომ წიგნების მართლზომიერ მფლობელობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა საგადასახადო ქვითრები და განმარტა, რომ საბიბლიოთეკო საქმისწარმოებაში არის დაფიქსირებული ხარვეზები და არა წიგნების მფლობელობის საკითხში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, დაეზუსტებინა, ჰქონდა თუ არა მოსწავლეს პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებით სარგებლობის რეალური შესაძლებლობა, რაზეც ექსპერტმა დადებითი პასუხი გასცა და აღნიშნა, რომ სკოლასა და მშობელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სკოლა იღებს ვალდებულებას, უსასყიდლოდ მოამარაგოს მოსწავლე საჭირო წიგნებით ყველა საგნის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ლიფტის ექსპლუატაციაში გაუმჯობესების მიზეზებთან დაავშირებით. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ლიფტს არ ამუშვენებენ, რადგანაც ამისი საჭიროება, უბრალოდ, არ იყო, ამასთანავე, პირველ სართულზე არის ფართი, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, ასეთ მოსწავლეს ასწავლიან. სკოლის დირექტორმა წამოადგინა პირველ სართულზე მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილის დამადასტურებელი ფოტოსურათი, რომელიც დაერთო სხდომის ოქმს.

საბჭოს თავმჯდომარემ ამ ფოტოსურათის წარმოდგენის შემდეგ ექსპერტს სთხოვა დაედასტურებინა, თუ იქნებოდა შესაძლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლისათვის ადეკვატური მომსახურების გაწევა. ექსპერტმა აღნიშნული დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ბრძანება, რომლის თანახმადაც, ზუგდიდში უსაფრთხოების სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟების ბოლო ვადა განისაზღვრა 2011 წლის 15 სექტემბრამდე, გამოცემული იყო საავტორიზაციო ვიზიტის დროს თუ შემდეგ.

ექსპერტმა განმარტა, რომ ბრძანება გამოიცა ვიზიტის პერიოდში.

ცენტრის დირექტორის მოადგილის, დავით კერესელიძის, განმარტებით, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, მნიშვნელოვანია, რომ ფართი, რომელიც თვითშეფასების კითხვარში იქნება მითითებული და თუნდაც ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ მოხდება მასზე უფლების რეგისტრირება საჯარო რეესტრში, საბჭომ მიიღოს მხედველობაში, ხოლო ფართი, რომელიც თვითშეფასების კითხვარში არ ფიქსირდება და რომელზეც უფლების მოპოვება ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ ხდება, არ იქნეს გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტადიონი შენობის ეზოშია განთავსებული და მასზე დაწესებულების უფლება დიდი ხანია დადასტურებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კვლავ გაამახვილა ყურადღება ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით და ექსპერტს მიმართა, დაედასტურებინა პროგრამის შესაბამისი წიგნებისა და პერიოდიკის სკოლაში არსებობა. ექსპერტმა განმარტა, რომ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოთხოვნილი ლიტერატურა სკოლამ კათედრებიდან წარმოადგინა, უბრალოდ, ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვიანობის საკითხია მოსაწესრიგებელი.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ელექტრონული კატალოგიზაციის დასრულებისთანავე სკოლას ექნება წიგნადი ფონდის აღრიცხვის სათანადო სისტემა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 660-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნული დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა, სკოლის ადამიანურ რესურსზე, საერთო ფართსა და კომპიუტერების რაოდენობაზე მითითებით, დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეუძლია 660 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სი“-ს შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სი“-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 660-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის

შესაბამისად, შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სი“-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 660-ით.

8. შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინოს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინოს“ ადამიანური რესურსების მართვის, საქმისწარმოების და იურიდიულ საკითხთა სამსახურის უფროსმა ნათია ქაჯაიამ საბჭოს წარუდგინა დაწესებულების დირექტორის მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობა.

თავმჯდომარემ შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინოს“ წარმომადგენელს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინოს“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დასკვნა დადებითია და დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს, თუმცა ყურადღება გაამახვილა გარკვეულ დეტალებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში მითითებული იყო მხოლოდ ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება II მ/რ, კორპუსი №11ა მისამართზე არსებული ფართი, რომელთან დაკავშირებითაც გაფორმებული ხელშეკრულებები რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. რეესტრის მონაცემებით, დაწესებულების ფართი აღნიშნულ მისამართზე შეადგენს 495 კვ. მ.-ს, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს კი აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ფართის ნაწილი მეორე სართულზე მორღვეულია და მიმდინარეობს მშენებლობა. საბოლოოდ დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული გარემონტებული და სასწავლო მიზნებისთვის გამოსადეგი საერთო ფართი, რომლით სარგებლობის უფლებაც დაწესებულებას საჯარო რეესტრის ამონაწერითაც უდასტურდება, შეადგენს 395,54 კვ. მ.-ს. გარდა ამისა, იმავე მისამართზე დაწესებულება აგრეთვე ფლობს 162 კვ. მ.-ს, რომელიც გარემონტებულია და სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება, მაგრამ დაწესებულების უფლება აღნიშნულ ფართზე არ დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

ვიზიტის დროს გაირკვა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში დაწყებული იყო წარმოება უძრავ ნივთზე იჯარის უფლების რეგისტრაციის მიზნით ნინოშვილის ქუჩა №8-ში მდებარე 1290 კვ. მ. ფართზე, ხოლო ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დადასტურდა

იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია აღნიშნულ ფართზე. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფართი მთლიანად გარემონტებულია და შეიძლება, გამოყენებულ იქნეს სასწავლო მიზნებისთვის.

შესაბამისად, დაწესებულების საერთო ფართი შედაგენს 1685,54 კვ. მ-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ შენობის აზომვით ნახაზში დაშვებულია შეცდომა და ამან განაპირობა შეუსაბამობა რეესტრის მონაცემებსა და ნახაზს შორის.

ლიკა გიორგაძის განმარტებით, დაწესებულებამ ვიზიტის განმავლობაში მოიწვია სპეციალისტები, დაამზადებინა მათ აზომვითი ნახაზი, რომელის სისწორეშიც ეჭვი არ შეუტანია თავად დაწესებულებას. უფლებამოსილმა პირმა მოაწერა ხელი და დაადასტურა ბეჭდით, შენობის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი ენდო ნახაზის მონაცემებს.

როგორც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია, დაეყრდნონ საჯარო რეესტრის მონაცემებს. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულების საერთო ფართი შეადგენს 1785 კვ. მ.-ს.

საბჭომ მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაეფიქსირებინა მოთხოვნა მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ სკოლამ დამატებით შეიძინა 12 კომპიუტერი, უსაფრთხოების კამერები, სკოლის დირექტორის ბრძანებით დაინიშნა 11 პედაგოგი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც ცენტრში წარმოადგენილია და სკოლის რესურსით შესაძლებელია მომსახურება გაეწიოს 900 მოსწავლეს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტაცია დაწესებულებას არ წარმოუდგენია ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, შესაბამისად, საბჭო ვერ გაითვალისწინებს ვიზიტის დასრულების შემდეგ შექმნილ დოკუმენტს და მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა, რომ დაწესებულებას თავისი მატერიალური, ადამიანური და პროგრამული რესურსით, კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, შეეძლო, მომსახურება გაეწია 660 მოსწავლისთვის, რაც მომხსენებელმა დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინოს“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 660-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინოს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 660-ით.

9. შპს - „არძანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „არძანის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „არძანის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 ეროვნული სასწავლო გეგმით მე-9-მე-10 კლასებისთვის გათვალისწინებული საგანი „სამოქალაქო განათლება“ სკოლის საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია ცალკე საგნად, მაგრამ დაწესებულებაში არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი საგნის სასწავლო პროგრამა.

1.2 ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ (მე-4, მე -8, მე -12 კლასები) დაწესებულებას საათობრივ ბადეში არ აქვს გათვალისწინებული.

1.3 საათობრივი ბადის მიხედვით სკოლაში ისწავლება სპორტის სახეობა „სროლა“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იქნა მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელი ინფორმაცია და საგნის სასწავლო პროგრამა.

1.4 სპორტის გაკვეთილებზე II კლასიდან ისწავლება ვაჟებისათვის რაგბი, ხოლო გოგონებისათვის - ტანვარჯიში. რაგბის სწავლების პროგრამა არ იქნა წარმოდგენილი. რაგბის პედაგოგების განმარტებით, ისინი ანგარიშვალდებული არიან რაგბის ფედერაციასთან, მუშაობენ რაგბის ფედერაციის მიერ გამოცემული მწვრთნელის განვითარების პროგრამით.

1.5 სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. თითოეული მოსწავლისათვის სკოლას შემოღებული აქვს მშობელთან მიმოწერის დღიური, კრიტერიუმებით, რომელსაც უნდა ეცნობოდეს მშობელი, აწერდეს ხელს და უბრუნებდეს სკოლას. კრიტერიუმების გამჭვირვალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი ვიზიტის განმავლობაში. შემთხვევითობის პრინციპით შეჩეულ ერთ-ერთ დღიურში არ არის მშობლის ხელმოწერა, რაც ვერ ადასტურებს იმას, რომ მშობელი გაეცნო მისი შვილის შეფასების კრიტერიუმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - „არძანის“ დირექტორმა საბჭოს მოახსენა, რომ „სამოქალაქო განათლებას“ სკოლა ასწავლის „ისტორიასთან“ ინტეგრირებულად, რისი დადასტურებაც რამდენიმე საგაკვეთილო მოდელითაც შეუძლიათ, ასევე საგანი „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ არის გამჭოლი საგნების რიცხვში და შესაძლებელია „ისტორიასთან“ ერთად მისი სწავლება, რაც ეროვნული

სასწავლო გეგმითაც დასტურდება. მხარემ აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინა მასწავლებლის საქალაქიდან მოტანილი რამდენიმე მოდელი. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო განათლებისათვის გათვალისწინებულია 48 საათი. იქედან გამომდინარე, რომ მეოთხე კლასში არის სახელმძღვანელო, სადაც „სამოქალაქო განათლება“ ინტეგრირებულია „ბუნებასთან“, ამ საგნის სწავლება თავად საბუნებისმეტყველო პროგრამაშია გაწერილი, სახელმძღვანელოშია შეტანილი და შესაბამისი სილაბუსიც წარმოდგენილ იქნა.

სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, „სამოქალაქო თავდაცვასთან“ დაკავშირებით ხარვეზი თუ დგინდებოდა არც იცოდნენ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულებისას არ ჰქონდათ საშუალება, გაცნობოდნენ დასკვნას, რომელიც მიიღეს ვიზიტის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ და საკითხთან დაკავშირებით დამატებით წარმოადგინეს დოკუმენტაცია ცენტრში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ ინტეგრირება, ზოგადად, შესაძლებელია, მაგრამ სკოლას საგანი საათობრივ ბადეში ცალკე საგნად ჰქონდა გათვალისწინებული და, შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა ჰქონოდა ცალკე საგნობრივი პროგრამა.

საბჭოს წევრმა ნინო ძოწენიძემ ჰკითხა მხარეს, ამ საგნებში ნიშანი ერთად იწერებოდა თუ ცალკე, რაზეც მხარემ განმარტა, რომ ერთი ნიშანი იწერება.

სკოლის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ „სამოქალაქო თავდაცვასთან“ დაკავშირებით ეროვნული გეგმა ითვალისწინებს მეოთხე კლასში ბუნებასთან, მერვეში - გეოგრაფიასთან და ზედა კლასებში - სპორტის გაკვეთილებთან ინტეგრირებას.

საბჭომ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნელი ნასყიდაშვილს, ეთანხმებოდა თუ არა, რომ საგნების ინტეგრირება შესაძლებელი იყო. ექსპერტი დაეთანხმა ამ მოსაზრებას.

სროლის პედაგოგის კვალიფიკაციასთან და „სროლის“ საგნობრივ პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სროლის მასწავლებელი არის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, საქართველოს ნაკრების წევრი სროლაში და ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. მას ნამდვილად აქვს სასწავლო პროგრამა და მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც, მაგრამ ოთახი, სადაც შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად ინახება იარაღიც, ჩაკეტილია და მისი გახსნა შეუძლებელია სპეციალური კოდის გარეშე, რადგან გახსნის მცდელობის შემთხვევაში პირდაპირ ხდება დაკავშირება დაცვის პოლიციასთან.

რაგბის პროგრამასთან და რაგბის მასწავლებლებთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ისინი ექვემდებარებიან რაგბის ფედერაციას და ორივე მასწავლებელი არის ლიცენზირებული მწვრთნელი. სილაბუსი ვერ იქნა წარმოდგენილი იმიტომ, რომ რაგბის პროგრამა რაგბის ფედერაციის მიერ არის შემუშავებული, ხოლო სკოლაში ხდება ჩატარებული სამუშაოს აღრიცხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რაგბის ფედერაციის პროგრამას არ შეეძლო, ჩაენაცვლებინა სილაბუსი.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, მე-9, მე-10 და მე-11 კლასებში „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ გათვალისწინებულია სავალდებულო საგნად. შესაბამისად, მან კითხვა დაუსვა მხარეს, ჰქონდათ თუ არა შემუშავებული შესაბამისი საგნობრივი პროგრამები და წარუდგინეს თუ არა იგი ექსპერტთა ჯგუფს.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ეს საგნები 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული სავალდებულო საგნად, მათი პროგრამა კი 2010-2011 წლის იყო და შეესაბამებოდა ძველ ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, დავით კერესელიძემ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნაში საუბარია 2011 წლამდე მოქმედ სასწავლო გეგმასთან შეუსაბამობაზე, რაც არ დასტურდება. ახალი ეროვნული

სასწავლო გეგმის მიხედვით რომ მომხდარიყო შეფასება, ამ შემთხვევაში დაწესებულების პროგრამა არ იქნებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი. უმჯობესი იყო დაწესებულებას ავტორიზაციაზე წარმოედგინა 2011 წლიდან მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სასკოლო სასწავლო გეგმა და ექსპერტებსაც აღნიშნული შეფასებინათ. თუმცა, ვინაიდან ექსპერტებმა 2011 წლამდე მოქმედი სასკოლო სასწავლო გეგმა შეაფასეს, მისი ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შეუსაბამობის დადგენა არ იქნებოდა სამართლიანი.

საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ 25%-ის ფარგლებში სკოლას აქვს ეროვნული სასწავლო გეგმისაგან გადახვევის საშუალება.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1. დაწესებულება ფლობს ქ. თბილისი, ჭავჭავაძის №82-ში მდებარე შენობის ნაწილს, გაფორმებულია ქირავნობის ხელშეკრულებები (2003 წლის 22 იანვარს და 2004 წლის 31 ივლისს) ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსთან. ხელშეკრულებები დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, შპს – „არმანი“ ფიქსირდება დამქირავებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარში მითითებული საერთო ფართი შეადგენს 5802 კვ. მ.-ს, თუმცა, საჯარო რეესტრის მონაცემებით, დაწესებულების სარგებლობაში არსებული საერთო ფართი შეადგენს 3421.68 კვ. მ.-ს.

გარდა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ფართისა, სასწავლო მიზნებისთვის ასევე გამოიყენება შენობის სხვენი. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომელის მეშვეობითაც დგინდება, რომ მან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქალაქ თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსაგან მიიღო სკოლის ტერიტორიაზე გამოუყენებელი ავარიულ მდგომარეობაში მყოფი მიწისქვეშა გვირაბის ტიპისა და სხვენზე არსებული ტექნიკური განყოფილებების კაპიტალური გარემონტების უფლება, ტირისა და სახელოსნოებისათვის. გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ გარემონტებულია ტირი და სხვენის ნაწილი, სადაც განთავსებულია სახელოსნოები და მოსწავლეები სწავლობენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებს, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია სხვენის შიდა აზომვითი ნახაზი, შესაბამისად, ვერ დადგინდა გარემონტებული და სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი და გამოუყენებელი ფართის ოდენობები.

2.2 დაწესებულებას აქვს ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები, რომლებშიც არის სინჯარები, რამდენიმე მიკროსკოპი და თვალსაჩინოებები, თუმცა ლაბორატორიის ინვენტარი არ პასუხობს შესაბამის მოთხოვნებს და საჭიროებს შევსებას. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა შპს „ინსტა ჯორჯიისათვის“ მიმართვა „საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტისათვის სათანადო აღჭურვილობის“ შეძენის თაობაზე.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მხოლოდ მიმართვა არაფერს ნიშნავს. მნიშვნელოვანია ორი მხარის შეთანხმება.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შპს „ინსტა ჯორჯიას“ წარმომადგენლები თბილისში არ იმყოფებიან და ამიტომ ვერ მოხერხდა მათთან წერილობითი შეთანხმების გაფორმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნელი ნასყიდაშვილს, რას გულისხმობდა, როდესაც მიუთითა, რომ ინვენტარი არ პასუხობს შესაბამის მოთხოვნებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ლაბორატორია არ შეესაბამებოდა სტანდარტს: სკოლას ჰქონდა სინჯარები, კოლბები და ა.შ., მაგრამ ეს აღჭურვილობა არ პასუხობდა ცენტრის მიერ მიღებული რეკომენდაციების მოთხოვნებს.

დავით კერესელიძემ საბჭოს განუმარტა, რომ 2011 წლის 9 აგვისტოს დამტკიცდა სარეკომენდაციო ჩამონათვალი იმ აღჭურვილობისა, რომელსაც ლაბორატორია უნდა შეიცავდეს. შესაბამისად, შედარება მომავალში უფრო გამარტივდება. რეკომენდაციის დამტკიცებამდე ექსპერტთა

ჯგუფს გაუჭირდებოდა, ზუსტად დაედგინა, იყო თუ არა დაწესებულებაში ლაბორატორიისათვის აუცილებელი აღჭურვილობა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა ხელსაწყო ჰქონდათ, რითაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები მიიღწევა: სინჯარები, პრეპარატები და ეს ყველაფერი ნახეს ექსპერტებმა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დაადასტურა, რომ დაწესებულებაში არის ყველა ეს აღჭურვილობა, მაგრამ ლაბორატორია საბოლოო ჯამში არ შეესაბამება ცენტრის მიერ დამტკიცებულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ, რადგან ვიზიტის დროს არ არსებობდა მინიმალური მოთხოვნა, ის მოწყობილობები, რაც დაწესებულებას ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, შეიძლება საკმარისად იქნეს მიჩნეული.

შპს - „არმანის“ წარმომადგენელმა დაწესებულების ფართთან დაკავშირებით განმარტა, რომ სხვენი და ტირის მიწისქვეშა გვირაბი დაწესებულებამ გაარემონტა მოგვიანებით, მაგრამ საჯარო რეესტრში არ დაურეგისტრირებია. ვიზიტის დასრულების შემდეგ დაწესებულებამ შეისყიდა მთელი ქონება, რომელიც შეადგენს დაახლოებით 10 000 კვ. მ.-ს.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 600-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნული დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა, რომ ავტორიზაციის შემთხვევაში სკოლას, თავისი რესურსების გათვალისწინებით, შეეძლო, მომსახურებოდა 600 მოსწავლეს, რაც ღიკა გიორგაძემ დაადასტურა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „არმანის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

თავმჯდომარის განმარტებით, როდესაც დაწესებულებაში ტარდება რაგბის გაკვეთილები, აუცილებლად უნდა არსებობდეს რაგბის სილაბუსი, რაგბის ფედერაციის პროგრამას არ შეეძლო, ჩაენაცვლებინა სილაბუსი. გარდა ამისა, პრობლემებია „სროლის“, „სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების“ დისციპლინებთან მიმართებაშიც. საერთო შეფასებით, სასკოლო პროგრამა არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის დადგენილ სტანდარტს. ამ მიზეზების გამო მან მიიღო გადაწყვეტილება, მიეცა ხმა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების წინააღმდეგ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „არმანს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

10. სპს - ზურაბ აღდგომელაშვილის ქართული მრავალპროფილიანი არასახელმწიფო საერო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სპს - ზურაბ აღდგომელაშვილის ქართული მრავალპროფილიანი არასახელმწიფო საერო სკოლა-ლიცეუმის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სპს - ზურაბ აღდგომელაშვილის ქართული მრავალპროფილიანი არასახელმწიფო საერო სკოლა-ლიცეუმის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ქეთევან ფანჩულიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 საგნის მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს ზეპირად განუმარტავენ შეფასების რუბრიკებს, მათი გამჭვირვალობა სხვა ფორმით არ დასტურდება. განმავითარებელი შეფასება სკოლამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი ფორმით;

1.2 სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის, მაგრამ არსად ჩანს აღნიშნული კითხვარების შედეგების ანალიზი და, შესაბამისად, ვერ დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კითხვარების ანალიზს ახორციელებს თავად დირექტორი. შესაბამისი შედეგები ასახვას პოვებს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.

თავმჯდომარემ სთხოვა მომხსენებელს, დაედასტურებინა ყოველწლიური სამოქმედო გეგმის არსებობა, რაც მომხსენებელმა დაადასტურა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სკოლა მდებარეობს 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფსა და პირველ სართულზე 282.56 კვ. მ. ფართობი. ორი საკლასო ოთახი და სპორტული დარბაზი შენობის სარდაფშია განთავსებული. სპორტული დარბაზი სარემონტო მდგომარეობაშია, არ აქვს ბუნებრივი განათება (ფანჯარა), აქვს მხოლოდ სავენტილაციო ლუკები. სკოლა-ლიცეუმის 7 საკლასო ოთახიდან მხოლოდ ორი მათგანი არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით.

2.2 საკლასო ოთახები და დერეფნები გამიჯნულია ტიხრებით, რომლებიც რიგ შემთხვევაში ჭერამდე არ აღწევს. ორი საკლასო ოთახი ერთმანეთში გამავალია.

2.3 სკოლას არ აქვს სპეციალურად გამოყოფილი ფართი ლაბორატორიისათვის. სპს - ზურაბ აღდგომელაშვილის ქართული მრავალპროფილიან არასახელმწიფო საერო სკოლა-ლიცეუმს შპს „საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ინსტიტუტი ვალდებულია, შეუქმნას სათანადო სასწავლო-საგანმანათლებლო პირობები ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიებში სკოლა-ლიცეუმის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, როგორც საპილოტე სკოლის მიერ მივლინებულ მოზარდებს.

2.4 სკოლას არ აქვს საკუთარი ტელეფონი, იყენებს კერძო პირის, კერძოდ, დირექტორის სატელეფონო მომსახურებას. ინტერნეტის მომსახურებაც გაფორმებულია კერძო პირზე, სკოლა-ლიცეუმის დირექტორზე.

2.5 სკოლაში არ არის დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს.

2.6 სკოლას არ აქვს სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი ოთახი. დირექტორის განმარტებით, სკოლის ექიმი, საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობს ბიბლიოთეკის ოთახში განთავსებული ტახტით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სპორტად სკოლამ აირჩია ჭადრაკი, აგრეთვე ტარდება ქორეოგრაფიული გაკვეთილები, რა მიზნითაც ქორეოგრაფთა კავშირთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. ზოგადად, სკოლა მცირეკონტიგენტიანია, თითო კლასში მაქსიმუმ 5-6 მოსწავლით.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ დერეფნიდან კლასები არასრული ტიხრით არის გამოიჯნული, რათა დერეფანი უზრუნველყოფილ იქნეს ბუნებრივი განათებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ სად მდებარეობს შპს „საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტი“ და როგორ ხდება მოსწავლეების გადაადგილების და შეუფერხებელი სწავლების უზრუნველყოფა.

წარმომადგენლის განცხადებით, შპს „საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტი“ მდებარეობს თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №180-ში. გაკვეთილები, რომლებიც ლაბორატორიის გამოყენებას საჭიროებს, მოსწავლეებს უტარდებოდათ შაბათობით და მათი გადაადგილება უზრუნველყოფილი იყო სკოლის ტრანსპორტით.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი შეძენა ვერ მოესწრო, რადგან მინისტრის ბრძანება ავტორიზაციის დებულებაში ცვლილების შესახებ მოგვიანებით გამოიცა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 100-მდე განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, მათი შუამდგომლობაა, მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს 80-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა აღნიშნული დაადასტურა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალური რესურსის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - ზურაბ აღდგომელაშვილის ქართული მრავალპროფილიანი არასახელმწიფო საერო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, სპს - ზურაბ აღდგომელაშვილის ქართულ მრავალპროფილიან არასახელმწიფო საერო სკოლა-ლიცეუმს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

11. სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საკითხის განხილვის დაწყებამდე ცენტრის დირექტორის მოადგილემ დავით კერესელიძემ გააკეთა განმარტება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ ხარვეზთან დაკავშირებით:

დასკვნის მიხედვით, სკოლა განთავსებულია 65-ე ბაგა-ბაღის შენობის 320 კვ. მ. ფართზე, მაგრამ ბაღისა და სკოლის ფართის გამოჯვანის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგინა. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, ქ. თბილისის მერიასთან მიღწეულია შეთანხმება ამ ფართის შესყიდვასთან დაკავშირებით. რამდენადაც შესაბამისი პროცედურები მოითხოვს გარკვეულ დროს, დავით კერესელიძემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ მას შეეძლო, ეშუამდგომლა საბჭოს წინაშე საკითხის განხილვის გადადების თხოვნით საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების ასახვამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა იშუამდგომლა საბჭოს წინაშე საკითხის განხილვის სამი კვირით გადადებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარის თქმით, აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც ეს იქნება პრეცედენტი, რომელიც დაუშვებს ასეთი პრობლემების მოგვარების მიზნით საკითხის განხილვის გადადების შესაძლებლობას და დაწესებულებებს საშუალება მიეცემათ, მოგვიანებით გამოასწორონ ხარვეზები, რასაც არ ითვალისწინებს საავტორიზაციო განაცხადის განხილვის კანონმდებლობით დადგენილი წესი, განსხვავებით იმ შემთხვევისა, როცა საკითხი ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე ინიცირებულია თავად ცენტრის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

შპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდოს სამი კვირით.

12. შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულებაში ამჟამად ირიცხება 534 მოსწავლე, სულ დაწესებულებას აქვს 9 კომპიუტერი. თუმცა სკოლა-ლიცეუმმა ცენტრში 2011 წლის 16 აგვისტოს წარმოადგინა შპს - „კომპიუტერულ სერვის ცენტრთან“ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სკოლას 15 სექტემბრამდე გადაეცემა 17 კომპიუტერი.

1.2 სკოლას აქვს 4 ვიდეო-თვალი, რომლებიც აკონტროლებს შიდა შესასვლელისა და პირველი სართულის პერიმეტრს. თუმცა უსაფრთხოების კამერები ვერ უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის სრულად კონტროლს. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2011 წლის 16 აგვისტოს წარმოადგინა შპს „ჯესკო ჯგუფთან“ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ჯესკო ჯგუფი“ დაწესებულებას შესაბამის ინვენტარს მიაწოდებს 2011 წლის 10 სექტემბრამდე.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ წარმომადგენლის განმარტებით, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები განპირობებულია იმით, რომ დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადის შემოტანის დროს ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ არსებობდა. ამასთან,

დაწესებულებას უკვე აქვს დადებული შესაბამისი ხელშეკრულებები შპს - „კომპიუტერულ სერვის ცენტრსა“ და შპს „ჯესკო ჯგუფთან“, რომლებიც მათ ცენტრში 2011 წლის 16 აგვისტოს წარმოადგინეს.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

ლალი ღვინჯილიას დამთავრებული აქვს სამხატვრო სასწავლებლის 3-წლიანი პროგრამა მხატვარ-გამფორმებლის კვალიფიკაციით და სკოლაში ასწავლის ხატვას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ აზრის გამოთქმა.

საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა განმარტა, რომ პედაგოგის კვალიფიკაციას ანიჭებდა მხოლოდ ქ. თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო კოლეჯი, შესაბამისად, სამხატვრო სასწავლებლის 3-წლიანი პროგრამის გავლის შემთხვევაში, ლალი ღვინჯილიას ვერ ექნებოდა პედაგოგის კვალიფიკაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, გაეკეთებინა კომენტარი აღნიშნულთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი ეთანხმება ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნას და რომ ლალი ღვინჯილია დაწესებულებაში აღარ იმუშავებს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 750-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 550-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართ ისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 520 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 520-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, მისი გადაწყვეტილება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2011 წლის 2-3 აგვისტოს და ამ პერიოდისათვის დაწესებულების მატერიალური რესურსი, კერძოდ, კომპიუტერებისა და უსაფრთხოების კამერების რაოდენობა, არ აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ 2011 წლის 16 აგვისტოს იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულებები შესაბამისი ინვენტარის შეძენის შესახებ. საბჭოს სხდომებზე ანალოგიური საკითხის განხილვის დროს თავმჯდომარეს ჰქონდა დადებითი პოზიცია იმის გამო, რომ სხვა შემთხვევებში გარდა ხელშეკრულებისა, დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი იყო აგრეთვე თანხის სრულად ან

ნაწილობრივ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც ამ შემთხვევაში არ მომხდარა. აქ მეტი ალბათობაა, რომ მაძიებელმა ავტორიზაციის მიღების შემდგომ ხელშეკრულება გააუქმოს, ამიტომ მხოლოდ ხელშეკრულების არსებობა არ არის საკმარისი მტკიცებულება შესაბამისი ინვენტარის ფლობის დასადასტურებლად. ასევე ხარვეზებია უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებითაც, რის გამოც ის მაძიებლის ავტორიზაციას მხარს ვერ დაუჭერდა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 520-ით.

13. შპს - „თაობა-XXI“ - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „თაობა-XXI“-ის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „თაობა-XXI“-ის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულებას არ გააჩნია ლაბორატორია. თუმცა, დაწესებულებას აქვს ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიების აღჭურვილობები, კერძოდ, ქიმიის ლაბორატორიისათვის დაწესებულებას აქვს: საზომი ცილინდრი, კოლბები, სინჯარები, ქიმიური ჭიქები, სადგამი სინჯარებისათვის, ჭურჭელი რეაქტივისათვის, სპირტქურა, თუთის მარცვლები, სასაგნე მინები, პინცეტი რეაქტივებისათვის და სხვა აღჭურვილობა; ფიზიკის ლაბორატორიისათვის - სხვადასხვა ცდის ჩასატარებელი ხელსაწყო; ამპერმეტრი და ვოლტმეტრი, რომლებიც გამოიყენება დენის, ძალისა და ძაბვის გასაზომად და სხვა. დაწესებულების დირექტორის სიტყვიერი განმარტებით, ლაბორატორიის განთავსება იგეგმება შენობის მეორე სართულზე, სადაც ამ დროისთვის მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი. ლაბორატორიის მოწყობა და შესაბამისი აღჭურვილობებით

მისი უზრუნველყოფა გათვალისწინებულია დაწესებულების განვითარების ერთწლიანი - 2011-2012 სამოქმედო გეგმით.

1.2 სკოლაში არ არსებობს ცალკე გამოყოფილი ოთახი ბიბლიოთეკისათვის. თუმცა, დაწესებულებას აქვს წიგნადი ფონდი, რომელიც განთავსებულია სამასწავლებლოში. სამკითხველო დარბაზის ფუნქციებს ითავსებს ინფორმატიკის ოთახი, სადაც 5 კომპიუტერთან ერთად განთავსებულია 2 მაგიდა და რბილი ავეჯი. მცირე ოდენობის წიგნადი ფონდი ინახება ასევე ინფორმატიკის ოთახში. დირექტორის სიტყვიერი განმარტებით, ბიბლიოთეკისთვის ცალკე ოთახის გამოყოფა იგეგმება 2011-2012 სასწავლო წლის დასაწყისისათვის, მას შემდეგ, რაც დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობის მეორე სართულზე დასრულდება კაპიტალური რემონტი.

1.3 დაწესებულას აქვს ორი უსაფრთხოების კამერა, რომელთაგან ერთი დამაგრებულია შენობის შემოსასვლელის გარე ფასადზე, ხოლო მეორე - მესამე სართულზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულება, დადებული სულხან ფაღვასთან, რომელიც 2011 წლის 1 სექტემბრამდე იღებს სამეთვალყურეო კამერის დამონტაჟების ვალდებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულების წარმომადგენელს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - „თაობა-XXI“-ის დირექტორმა წარმოადგინა ახალი სტანდარტის შესაბამისი ლაბორატორიის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც თავმჯდომარემ გამოაქვეყნა საბჭოს მიერ შესწავლის მიზნით.

საბჭომ მიიჩნია, რომ სტანდარტის მოთხოვნა ლაბორატორიებთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულია.

საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა ექსპერტს სთხოვა, დაედასტურებინა წიგნადი ფონდის საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის საკითხი. ექსპერტის განმარტებით, ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ არსებობს და წიგნადი ფონდი შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა სარემონტო სამუშაოების დასრულების ვადა. დირექტორის განმარტებით, შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, ბოლო ვადა არის 10 სექტემბერი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე ქსელში ჩაერთვება ყველა უსაფრთხოების კამერა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 180-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, შეამცირა მოთხოვნა 160-მდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა, სკოლის ადამიანურ რესურსზე, საერთო ფართსა და კომპიუტერების რაოდენობაზე მითითებით, დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეუძლია 160 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - „თაობა-XXI“-ის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „თაობა-XXI“-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „თაობა-XXI“-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

14. შპს - „მერცხლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „მერცხლის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „მერცხლის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მხოლოდ დაწყებითი საფეხურის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც არ ითვალისწინებს ინფ. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (მის ნაცვლად ჩასმულია ისტორია), აგრეთვე ცეკვის სწავლებას;

1.2 დაწესებულებამ საათობრივი ბადე საბაზო საფეხურისათვის ვერ წარმოადგინა, თუმცა ადგილზე მოცემული იყო შემდეგი საგნის სილაბუსები საბაზო საფეხურისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, რუსული ენა (არასრულია), გეოგრაფია, ბიოლოგია (არ შეესაბამება მოთხოვნებს), ისტორია (არ შეესაბამება მოთხოვნებს), ქიმია (არ შეესაბამება მოთხოვნებს), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები (არ შეესაბამება მოთხოვნებს), სპორტში VII- IX კლასები (არ შეესაბამება მოთხოვნებს), მუსიკა VII- IX კლასები (არ შეესაბამება მოთხოვნებს). აღნიშნული საგნების სილაბუსები არ ითვალისწინებდნენ თემატურ განაწილებას საათების მიხედვით, სწავლა-სწავლების მეთოდებს, შეფასების პრინციპებს;

1.3 სკოლას არ აქვს შემუშავებული სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;

1.4 შეფასების კრიტერიუმები გაწერილია ქულებში მხოლოდ მათემატიკისა და ინგლისურის სილაბუსებში, დანარჩენი საგნების სილაბუსები შესაბამის ინფორმაციას არ მოიცავს;

1.5 სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმთა დაკავშირებული ინფორმაცია დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა წერილობითი შეპასუხება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით, რომელიც დაერთო ოქმს.

შპს - „მერცხლის“ წარმომადგენელის თქმით, მათ დაუშვეს შეცდომა, როცა ჩათვალეს, რომ ამოსავალი მათთვის იყო ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც სკოლას ავალდებულებს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა დაამტკიცოს სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირით ადრე. შესაბამისად, ექსპერტთა ვიზიტის დროს მათ ჯერ არ ჰქონდათ ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა.

საბაზო საფეხურთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მიერ წარმოდგენილ იქნა ყველა საგნის სილაბუსი, ცხრა კლასის ჩათვლით.

ცეკვის გაკვეთილის საათობრივ ბაღეში გათვალისწინებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში გეგმავს 2011-2012 სასწავლო წლიდან მეოთხე კლასში ცეკვის გაკვეთილის ჩასმას და, შესაბამისად, აპირებს ხელშეკრულების გაფორმებას ცეკვის მასწავლებელ - ირაკლი ცერცვაძესთან.

შპს - „მერცხლის“ წარმომადგენელმა ისაუბრა სკოლის წარმატებებზე, მათ შორის, სხვადასხვა ოლიმპიადაში (მაგ.: „კერგურუ“) გამარჯვებებზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლა ამ დრომდე, მხოლოდ დაწყებით საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა, მისი მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწავლას წარმატებით აგრძელებდნენ „კომაროვის სკოლაში“. ამასთან, ვინაიდან სკოლა წელს ახალ შენობაში გადავიდა, სურვილი აქვს, განახორციელოს ასევე საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაც.

წარმომადგენლის თქმით, სკოლას განსაკუთრებული აქცენტი აქვს ინგლისური ენისა და მათემატიკის სწავლებაზე და ამ სილაბუსებში ყველაფერი სრულყოფილად.

თავმჯდომარის თქმით, ეს არ აბათილებს სხვა საგნების სილაბუსებში დაფიქსირებულ შენიშვნებს.

ხელმძღვანელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ იგი უკვე სამი წელია მუშაობს ინკლუზიური განათლების საკითხებზე და მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სპეციალური პროგრამის შემუშავება.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 საკლასო ოთახებში განთავსებული მერხების მხოლოდ ნაწილია ინდივიდუალური. შპს - „მერცხლის“ დირექტორის განმარტებით, იგეგმება ინდივიდუალური მერხების, სასკოლო ინვენტარის ეტაპობრივი შეძენა და განახლება.

2.2 დაწესებულების ერთ-ერთი ოთახი ასრულებს სპორტული დარბაზის ფუნქციას (30 კვ. მ.). აღნიშნული ფართი აღჭურვილია შესაბამისი სპორტული ინვენტარით (მაგალითად: გასაშლელი ლეიბებით, ბურთებით, ბაგირით და სხვა). სკოლას აქვს 6 ჭადრაკის დაფა, რომლებსაც, სკოლის დირექტორის განმარტებით, მოსწავლეები აქტიურად იყენებენ. მოცემულ ფართში შეუძლებელია ისეთი სპორტული ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა ფეხბურთი, ხელბურთი, კალათბურთი ან ფრენბურთი. გაკვეთილების ცხრილში ეს საგნები ნახსენებია, თუმცა შესაბამისი ბაზა ასეთი საგნების განხორციელებისათვის არ არსებობს.

2.3 შპს - „მერცხალს“ სათანადო წესით აღჭურვილი ლაბორატორია არ გააჩნია.

2.4 დაწესებულებაში ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი არ არის კონკრეტული ოთახი. წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის რამდენიმე ოთახში, მაგალითად, მე-5 კლასის ოთახში არის მათემატიკის სახელმძღვანელოები, დირექტორის კაბინეტში განთავსებულია მხატვრული ლიტერატურა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვა სახელმძღვანელოები.

2.5 დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის არ აქვს ადაპტირებული გარემო.

2.6 დაწესებულებას არ გააჩნია ხელშეკრულება დომეინური სახელისა და ვებპოსტინგის ფლობის თაობაზე.

2.7 დაწესებულებაში არ არის დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს.

შპს - „მერცხლის“ წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ლაბორატორიის ფოტოები, ლაბორატორიის აღჭურვილობების ჩამონათვალი და აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდება ვიდეოგაკვეთილების ჩვენება, ხოლო რიგ შემთხვევებში გაკვეთილები ტარდება პლანეტარიუმსა და პალეონტოლოგიის ინსტიტუტში.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის წევრს სთხოვა განმარტება ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ბიბლიოთეკის სათანადო წესით მუშაობა დაწესებულებაში არ დასტურდება. წიგნები განლაგებულია სხვადასხვა საკლასო ოთახში. მაგალითად, მათემატიკის სახელმძღვანელოები არის მეხუთე კლასის საკლასო ოთახში, წიგნების ნაწილი განლაგებულია ასევე დირექტორის კაბინეტში.

საბჭოს წევრმა ლალი ლოღელიანმა შეკითხვით მიმართა ექსპერტს წიგნების აღრიცხვასთან დაკავშირებით. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას წიგნები აღრიცხული ჰქონდა, არსებობდა ბიბლიოთეკის ჟურნალი და კატალოგი, თუმცა არ იკვეთებოდა თავად ბიბლიოთეკის მუშაობის პრინციპი.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას აქვს სპეციალური ოთახი ბიბლიოთეკისათვის, სადაც დგას ასევე კომპიუტერიც და წარმოადგინა შესაბამისი ფოტოსურათები.

23 საათსა და 50 წუთზე ავტორიზაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის 19 აგვისტოს გაგრძელების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა ის ფოტომასალაზე აღბეჭდილი ბიბლიოთეკის არსებობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემული კატალოგი განთავსებული იყო კაბინეტში, რომელიც, ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, წარმოადგენდა დირექტორის კაბინეტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წიგნები მას მიზანმიმართულად აქვს გაფანტული, რათა მოსწავლეებს ყოველდღიური ვიზუალური აღქმის მეშვეობით, მარტივად შეეძლოთ საჭირო წიგნის მოძიება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტება სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებით.

შპს - „მერცხლის“ წარმომადგენლის თქმით, სკოლას აქვს სპორტის გაკვეთილები და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სპორტულ კომპლექს „ქარიშხალასთან“, რომლის მიხედვითაც სკოლას შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს საცურაო აუზით, მაგიდის ჩოგბურთით, კარატეს წრით. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ხელშეკრულება.

2.6 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის წერილი შპს - „მერცხლის“ დომეინური სახელის ინსტიტუტის ჰოსტინგზე უსასყიდლოდ განთავსების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა და აქვს სურვილი, ისარგებლოს სკოლის მანდატურების მომსახურებით, თუმცა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის უფროსი მას მაისის თვეში დაუკავშირდა და განუმარტა, რომ ამ ეტაპზე სკოლა მათ მომსახურებას არ საჭიროებდა. რაც შეეხება ვიდეოკამერებს, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა 2011 წლის 25 ივლისის ხელშეკრულება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვის შესახებ, აგრეთვე შესაბამისი საგადასახადო ანგარიშგაქტურა.

საბჭოს თავმჯდომარე გაეცნო წარმოდგენილ ხელშეკრულებას და აღნიშნა, რომ, რამდენადაც დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2011 წლის 1 და 2 აგვისტოს, ირკვევა, რომ ხელშეკრულება ვიდეოჩამწერის შესყიდვის თაობაზე დადებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტამდე.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულებას საბაზო საფეხურზე შერჩეული არ ჰყავს პედაგოგები და, შესაბამისად, წარმოდგენილი არ იქნა მათი პირადი საქმეები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავს მათემატიკის ორი პედაგოგი, რომელთაგან ერთი უკვე სერტიფიცირებულია, ხოლო მეორე მონაწილეობს მასწავლებელთა სერტიფიცირების გამოცდაში. სკოლაში ასწავლის ასევე ინგლისური ენის ორი, მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტი. როგორც მათემატიკის, ისე ინგლისურის მასწავლებლებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. სკოლას ასევე ჰყავს ქიმიის, ისტორიის, რუსული ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ხელოვნებათმცოდნეობის და სხვა საგნების მასწავლებლები.

დირექტორის განმარტებით, სკოლას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება მხოლოდ ნაწილობრივთან, რომელიც ოჯახური მდგომარეობის გამო დროებით გათავისუფლებულია. რაც შეეხება საბაზო საფეხურზე პედაგოგთა არარსებობას, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საბაზო საფეხურზე სწავლებას იგი გეგმავს არსებული პედაგოგიური რესურსით, რომელთაგანაც სკოლას უკვე აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები, შესაბამისად, საბაზო საფეხურისათვის ცალკე ხელშეკრულებების დადება მან ზედმეტად მიიჩნია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 87-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნული დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა, სკოლის ადამიანურ რესურსზე, საერთო ფართსა და კომპიუტერების რაოდენობაზე მითითებით, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეუძლია 80 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „მერცხლის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „მერცხალს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

15. შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის საბჭომ გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შეფასებები.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 230-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა, სკოლის ადამიანურ რესურსზე, საერთო ფართსა და კომპიუტერების რაოდენობაზე მითითებით, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეუძლია 180 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 00:20 სთ-ზე.

00:28 სთ-ზე საბჭოს სხდომა განახლდა.

16. შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ წარმომადგენელს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლას აქვს გაფორმებული ორი იჯარის ხელშეკრულება, რომლებშიც ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზები. თუმცა დღევანდელი მდგომარეობით:

ნანა ცარციძესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც წარმოდგენილ იქნა ცვლილების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც, ხსენებული იჯარის ხელშეკრულების საგანია 401 კვ. მ. მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძისა და ყიფშიძის ქუჩებს შორის IV კვარტალი (ნაკვეთი 4), საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.046.01.001.

ნათელა ბახტაძესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც წარმოდგენილ იქნა ცვლილების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც, ხსენებული იჯარის ხელშეკრულების საგანია შენობა №1 და №2 ფართი 714.10 კვ. მ. მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძისა და ყიფშიძის ქუჩებს შორის IV კვარტალი (ნაკვეთი 5), საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.049.

1.2 სკოლას ლაბორატორიის ინვენტარის შემენის მიზნით 2011 წლის 18 ივლისს გაფორმებული აქვს Nგეო – 005 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სკოლას უნდა გადაეცეს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიის აღჭურვილობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინვენტარის ნაწილი სკოლას გადაცემული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროსაც, ადმინისტრაციის განმარტებით, დანარჩენ ნაწილს მიიღებენ უახლოეს მომავალში.

1.3 სკოლიდან გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი აკინძულია, გვერდები დათვლილია, მაგრამ არ არის დანომრილი, აღნიშნება კორექტორით გადასწორებული ადგილიც. გასული კორესპონდენციის ნაწილს არ აქვს არც ბეჭედი და არც ხელმოწერა. გასულ კორესპონდენციაში სკოლა არ ინახავს გაგზავნილ ცნობებს და მოთხოვნა-დასტურს.

1.4 სკოლას სხვადასხვა დოკუმენტაციაში აღრეული აქვს საფირმო სახელწოდება. კერძოდ, რიგ დოკუმენტებში მოიხსენიება, როგორც თბილისის კერძო სკოლა შპს „გიჩი“, შპს „გიჩი“ კერძო სკოლა „ჯეჯილი“. სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს რიგ შემთხვევებში ნინო ჩივაძე, თუმცა მის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში ჩანაწერი არ არის. ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა დირექტორის, ნინო ჩივაძის, სახელზე 2011 წლის 5 ივლისს გაცემული მინდობილობა, რომლის საფუძველზეც მიენიჭა უფლებამოსილება, წარმოადგინოს შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ ინტერესები ნებისმიერ მესამე პირთან ურთიერთობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა, დაეზუსტებინა, თუ როდის განხორციელდა ცვლილებები საჯარო რეესტრის მონაცემებში იჯარით აღებულ ქონებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ განაცხადი გაკეთებულია 16 აგვისტოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2 და 3 აგვისტოს. ამ პერიოდში სკოლის ფართი რეესტრში დარეგისტრირებული იყო, როგორც მშენებარე ფართი, ხოლო ახალი ამონაწერით დასტურდება, როგორც დასრულებული შენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რა მდგომარეობაში იყო შენობა ვიზიტის დროს. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ შენობა იყო დასრულებული, გარემონტებული და მასში სავსებით შესაძლებელი იყო სწავლების განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული შენობა 2006 წლიდან არის დასრულებულ მდგომარეობაში, თუმცა მესაკუთრემ არ მიიღო შესაბამისი ზომები რეესტრში ამ ინფორმაციის ასასახად, ამდენად, შენობის „ლეგალიზება“ თავად მოახდინეს.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა ექსპერტს შენობის საერთო ფართი. ექსპერტმა განაცხადა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არის ორი შენობა: 714.10 კვ. მ. და 401 კვ. მ. ფართით. შესაბამისად, საერთო ფართი შეადგენს 1115.10 კვ. მ.-ს.

ლაბორატორიების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის - 2011 წლის 18 ივლისს გაფორმებული №გეო - 005 ხელშეკრულების საფუძველზე, საბჭომ სტანდარტი დაკმაყოფილებულად მიიჩნია.

1.3 -ში დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით, საბჭომ ექსპერტს დააზუსტებინა, ჰქონდა თუ არა სკოლას კორესპონდენციის ჟურნალი და იყო თუ არა იგი დალუქული. ექსპერტმა აღნიშნული დაადასტურა.

სახელწოდებასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ წარმომადგენელს, განემარტა „ჯეჯილის“ სტატუსი. სკოლის დირექტორის განცხადებით, „ჯეჯილი“ არის შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ სტრუქტურული ერთეული, რომელიც ფუნქციონირებს იურიდიული პირის ფარგლებში. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ დაწესებულება დაარსდა 1992 წელს და აღნიშნული სახელწოდება იმ დროიდან მოჰყვება სკოლას.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 250-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნული დაადასტურა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა, სკოლის ადამიანურ რესურსზე, საერთო ფართსა და კომპიუტერების რაოდენობაზე მითითებით, დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეუძლია 250 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური კომერციული ფირმა „გიჩის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მრავალდარგოვან სამეცნიერო-ტექნიკურ კომერციული ფირმა „გიჩის“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

17. შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ წარმომადგენელს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლალი შაიშმელაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია, ასევე განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მომხსენებელმა ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

ყველა სახელმძღვანელო გრიფირებულია, ინგლისური ენის სახელმძღვანელოების გარდა (VII-XII კლასებში).

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინგლისური ენის სახელმძღვანელოები უთანაბრდება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს.

მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იყენებს კემბრიჯისა და ოქსფორდის სახელმძღვანელოებს, რომლებიც გრიფირებული სახელმძღვანელოების ანალოგიურია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

წიგნადი ფონდი ელექტრონული ფორმით არის აღრიცხული, მაგრამ არ არსებობს ანბანური ან სისტემური კატალოგი, არც მკითხველის აღრიცხვის ჟურნალი და მკითხველის ბარათის ფორმები. ადმინისტრაციის განმარტებით, ცოტა ხნის წინ მოხდა ბიბლიოთეკის გადაიარაღება და განახლებული წიგნადი ფონდის აღრიცხვა. სკოლა უახლოეს ხანებში აპირებს პროფესიონალი ბიბლიოთეკარის შერჩევას, რომელიც მოაწესრიგებს საბიბლიოთეკო დოკუმენტაციას და შექმნის ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმას.

საბჭოს თავმჯდომარემ მომხსენებელს სთხოვა, დაეზუსტებინა, იყო თუ არა წიგნადი ფონდი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი.

მომხსენებელმა აღნიშნული დაადასტურა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

სკოლას პირადი საქმეების წარმოების ერთ-ერთ მოთხოვნად დაწესებული აქვს (შინაგანაწესის და თვითშეფასების თანახმად) შრომის წიგნაკების და კადრების აღრიცხვის ფურცლების ქონა. რამდენიმე თანამშრომლის პირად საქმეებში აღნიშნული დოკუმენტები არ იძებნება, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შრომის წიგნაკის არსებობის მოთხოვნას და აღნიშნულის დაწესება არაა დეკვატურია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომის წიგნაკების გამოყენება ხდებოდა ადრეულ პერიოდში, შემდეგ კი ეს მოთხოვნა გაუქმდა.

თავმჯდომარის თქმით, ამ მოთხოვნის დაწესება დაწესებულების ნებაზეა დამოკიდებული.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 600-ით, ხოლო პროფესიული სტუდენტების რაოდენობის 500-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნული შუამდგომლობა დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ექსპერტმა, სკოლის ადამიანური რესურსის, საერთო ფართ ისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეუძლია 560 მოსწავლისა და 470 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 560-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

მომხსენებელმა ისაუბრა აგრეთვე პროფესიული განათლების ნაწილში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებზე, კერძოდ, აღნიშნა, რომ რამდენადაც სკოლას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის იგივე ბიბლიოთეკა აქვს, ბიბლიოთეკის ნაწილში შენიშვნები იდენტურია.

საბჭომ იმსჯელა პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადასათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 470-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - დამოუკიდებელ საერო გიმნაზია „შავნაბადას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 560-ით, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა - 470-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 00:50 სთ-ზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი